პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 17 ივლისი, 1942 წ. № 167 (6483). ფასი 15 კაპ.

გმირული შრომით დავაჩქაროთ ვერაგ მტერზე გამარჯვება!

მრისხანე საფრთხე თავს დასტრიალებს ჩვენს საყვარელ სამშობლოს. გამხეცებული მტერი, რომელიც თავის უდიდეს ზარალს ანგარიშს არ უწევს, წინ მიძვრება და ცდილობს წარმატებას მიაღწიოს. და ახლა, ამ დაძაბულ ვითარებაში, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულმა, პირსისხლიანი ჰიტლერული ხროვისადმი მწვავე სიძულვილმა, მაღალი პატრიოტული ვალის შეგნებამ უნდა გააორკეცოს, უნდა გაასამკეცოს ჩვენი ბრძოლა, ჩვენი მუშაობა მტრის შესამუსრავად.

წითელი არმიის ძალისა და ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, დიდი **სტალინის** საპირველმაისო ბრძანების შესასრულებლად იბრძვიან სრულიად - საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული ფაბრიკა-ქარხნები, მაღაროები, შახტები, მტს-ები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ზოგიერთ მასალას მათი მუშაობის შესახებ. როგორ მუშაობდნენ ისინი ერთ დღეს — 15 ივლისს? რა მიღწევები და ნაკლოვანებები გვიჩვენა ამ დღემ? რა არის საჭირო იმისათვის, რომ ივლისის პირველი ნახევრის წარმატებით დამთავრების შემდეგ უფრო უკეთესად ვიმუშაოთ მეორე ნახევარში, რათა ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მეტი პროდუქცია, მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მივცეთ? ყოველდღიური მუშაობის შედეგს უნდა ჩა-

...

ლობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მესამე შემკერავ კორპუსში პროდუქციის ხარისხს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. იქ არადამაკმაყოფილებლად ზრუნავენ ახალი მუშების აღზრდაზე, მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ხარისხსაც ვერ იცავენ. სუსტად არის დაყენებული გამოცდილების ურთიერთგაზიარება, აგიტაცია-პროპაგანდა. ექვსი აგიტატორიდან 15 ივლისს მხოლოდ ერთი აგიტატორი ასრულებდა თავის მოვალეობას. განა ეს ახლა დასაშვებია?

ივლისში მუშაობის გაუმჯობესება უჩვენეს ჰიათურის მაღაროელებმა. წარმატება აქვთ ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროებს. მაგრამ იქ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ყველა შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენებისათვის, რათა ქვეყანამ მიიღოს მრეწველობის მეტი პური — ქვანახშირი.

ახლა ყველა საამქრო, ცვლა, ბრიგადა, დაზგა შრომის ნაყოფიერების მაღალ მაჩვენებლებს უნდა იძლეოდეს. ვ. მ. ბაქრაძის სახელობის ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის საქსოვი საამქროს რამდენიმე დაზგა კი 15 ივლისს უქმად იდგა. ეს დანაშაულია. № 133 დაზგამ ამ დღეს წუნდებული პროდუქციის გამოშვება იწყო, მაგრამ ეს საფრთხე თავიდან აცილებულ იქნა მხოლოდ ცვლის უფროსის ამხ. გირდალაძის მიერ ზომების დროულად მიღების შედეგად.

...

თვითეულმა საწარმომ, ახლა სადღეისო ტემპი, სამარი ვითარება მოითხოვს გეგმები სრულდებოდეს ყოველდღიურად, ყოველდეკადურად, ყოველთვიურად, გრაფიკის მიხედვით, მაღალხარისხოვნად, სავალდებულო სტანდარტისა და ასორტიმენტის ზუსტად დაცვით.

მარტო ერთი დღის მაგალითმაც ნათელჰყო, რომ თბილისის ბერიას სახე-

...

თოეულმა საწარმომ, ...ლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის თითოეულმა მუშაკმა მაქსიმალურად მეტი უნდა მოსთხოვოს თავის თავს, რათა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ამხანაგ **სტალინის** ისტორიული საპირველმაისო ბრძანების განხორციელებას — 1942 წელს გერმანელ ფაშისტთა ჯარების საბოლოო განადგურებას.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ორი თვის ბრძოლების შედეგები

(1942 წლის 15 მაისიდან 15 ივლისამდე)

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე 15 მაისიდან 15 ივლისამდე წარმოებულმა გააფთრებულმა ბრძოლებმა ცხადად გამოავლინეს ის ახალი რამ, რაც განასხვავებს 1942 წლის ბრძოლას 1941 წლის ბრძოლისაგან. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მტერთან ბრძოლაში წითელი არმიის გაზრდილმა ორგანიზებულობამ და სიმტკიცემ აიძულა გერმანელები ერთბაშად გამოიყვანონ ბრძოლაში თავიანთი არმიების ძირითადი ძალები და რეზერვები, წინანდელზე გაცილებით უფრო ნელა წამოიწიონ წინ და ბრძოლების მიმდინარეობაში უდიდესი, აუნაზღაურებელი ზარალი ნახონ ადამიანთა და ტექნიკის მხრივ.

აი ცნობები ჩვენი და გერმანელების ზარალის შესახებ 1942 წლის 15 მაისიდან 15 ივლისამდე.

გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა სულ ცოტა 900 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით, აქედან სულ ცოტა 350 ათასი მოკლულთა სახით. ამას გარდა, მათ დაჰკარგეს 2 ათასამდე ქვემეხი ყველა ყალიბისა, 2.900-მდე ტანკი, სულ ცოტა 3 ათასი თვითმფრინავი.

ამავე ხნის განმავლობაში წითელმა არმიამ დაჰკარგა 399 ათასი კაცი მოკლულთა, დაჭრილთა და უკვალოდ დაკარგულთა სახით, ყველა ყალიბის 1.905 ქვემეხი, 940 ტანკი, 1.354 თვითმფრინავი.

ამ ცნობებიდან სჩანს, რომ მარტო უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში გერმანელებმა მილიონამდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით. სწორედ ეს არის ორი თვის ბრძოლების გადამწყვეტი შედეგი. მართალია, ამ ბრძოლების მიმდინარეობაში საბჭოთა ჯარებმა რიგი რაიონები და ქალაქები დასტოვეს, მაგრამ უდიდესი ზარალი მიაყენეს ჰიტლერელებს ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მეტი ზარალი მოსდის გერმანიის არმიას, მით უფრო უტიფრად სტყუის გერმანიის საინფორმაციო ბიურო, მით უფრო მაღალი ხმის ყეფა და წკმუტუნი მოისმის ბერლინის ჭაოკრიდან. ამ უკანასკნელ დღეებში ჰიტლერელებმა თავის თავსაც კი გადააჭარბეს ყალთაბანდობასა და სიცრუეში.

ჯერ გერმანელთა სარდლობის 13 ივლისის ყალბი ცნობის მელანი არც კი იყო შემშრალი, რომ გერმანიის საინფორმაციო ბიურომ ახალი ცნობა გამოაქვეყნა წითელი არმიის ორი თვის ზარალის შესახებ. ამასთან ასახელებენ გადასარევ ციფრებს ვითომდა ტყვედ წაყვანილთა, მოსპობილი ტანკებისა და ქვემეხების შესახებ. გერმანელები იუწყებიან, ვითომ მათ 14 მაისიდან 13 ივლისამდე ტყვედ ჩაიგდეს 706 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი, ხელთ იგდეს და მოსპეს 3.940 ტანკი და 7.100 ქვემეხი. ჰიტლერელთა ამ ბოდვითმა ცნობამ, რაც სულელთათვის არის ნავარაუდევი, დღემდე ცნობილს ბერლინის ყველა უხეშ ნაყალბევს გადააჭარბა. ადამიანმა რომ გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობების მიხედვით დათვალოს ის დავლა, რომელიც ვითომდა ხელთ იგდეს გერმანიის ჯარებმა ომის დროს, აღმოჩნდება, რომ წითელ არმიას დიდი ხანია არა მარტო არცერთი ტანკი და არც ერთი ქვემეხი აღარ დარჩენია, არამედ აღარ დარჩენია ჯარისკაცებიც.

ჰიტლერელ ყალთაბანდებს, რომელნიც ფანტასტიკურ ცნობებს აქვეყნებენ, წარსულში უკვე არაერთხელ ჩაუყენებიათ თავი სასაცილო მდგომარეობაში. შემდეგ ისინი იძულებული გამხდარან ყველანაირად ცდილიყვნენ, რომ თავი დაეძვრინათ. მაგრამ ამ გაკვეთილებმა ჭკუა ვერ ასწავლეს მათ. ისინი კვლავ ცდილობენ გაასულელონ გერმანიის მოსახლეობა და ამით დაუმალონ გერმანელ ხალხს სიმართლე გერმანელ ფაშისტთა არმიის უდიდესი ზარალის შესახებ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. მაგრამ ახლა მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი და თვით გერმანიის მოსახლეობაც, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა ნამდვილი ზარალი, რაც ჰიტლერელთა ჯარებმა ნახეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, უკვე, როგორც წესი, ჰიტლერის თითოეულ „სპეციალურ ცნობას“ ეგებება ხალხური ანდაზით: „იცრუე, მაგრამ ზომა იცოდე!“.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

ვორონეჟის რაიონში

მოქმედი არმია, 16 ივლისი. (საკუთრ. სპეც. კორესპონდენტისაგან). ქვეითი ჯარის, ტანკების, არტილერიისა და ავიაციის გადამწყვეტი კონტრდარტყმებით ზოგიერთ უბანზე მტრის წინსვლა შევაჩერეთ, სხვა უბნებზე კი გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს და უკან დაიხიეს. მაგრამ მდგომარეობა კვლავ დაძაბულია. მებრძოლთა კონტრიერიშები ფაშისტთა მედგარ წინააღმდეგობას აწყდება. ფაშისტები გაფაციცებით აგებენ სიმაგრეებს ქალაქის რაიონში, აგრეთვე დონის დასავლეთსა და აღმოსავლეთ ნაპირებზე.

საბჭოთა ჯარის ნაწილები, რომელნიც განსაკუთრებულ შეუპოვრობას იჩენენ სისხლისმღვრელ ბრძოლებში, გერმანელებს ერეკებიან მათ მიერ დაკავებული ზღუდეებიდან. თუ რამდენად დაძაბულია ბრძოლები, ეს თუნდაც იქიდან სჩანს, რომ თითქმის ყველა პოზიცია, ...

ფაშისტთა იმ დივიზიების უდიდეს ზარალს, რომლებსაც იერიში მიაქვთ ვორონეჟის თავდაცვაზე, ტყვე ჰიტლერელებიც აღნიშნავენ. გერმანელთა 168-ე ქვეითი დივიზიის 417-ე ქვეითი პოლკის მე-3 ასეულის უფროსმა ეფრეიტორმა პაულ შპურმა განაცხადა:

„რუსების მიერ დონზე გაწეულმა წინააღმდეგობამ ჩვენი სარდლობის მოლოდინს გადააჭარბა. საბჭოთა ტანკები და არტილერია კარგად თანამოქმედებენ ავიაციასა და ქვეითს ჯართან, მძიმე დარტყმებს გვაგემებენ. ვორონეჟზე შემოტევა გულმოდგინედ იყო მომზადებული და მისი მოგერიება შეუძლებელი უნდა ყოფილიყო; მაგრამ დიდი ზარალი, რომელიც სასტიკი ბრძოლების დროს მოგვივიდა, ჩვენს შემოტევას შლის. ...

...

ი. დენისოვი

მერმანელებს სერაფიმოვიჩთან გამოჰყავთ ჯარები თვითმფრინავებით

...

ი. დენისოვი

ჰიტლერელები ჯარისკაცებს ქვემეხებზე აკრავენ

დასავლეთის ფრონტი, 16 ივლისი (საკუთრ. სპეცკორესპონდენტისაგან). ჩვენმა არტილერიამ გერმანელთა 2 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი დაზიანა და მათი მომსახურე პერსონალი დახოცა.

როცა შემდეგ მებრძოლნი მივიდნენ ქვემეხებთან, ასეთი სურათი ნახეს: თითოეულ ზარბაზანთან ორი მოკლული ფაშისტი ჯარისკაცი იყო. სამს ლაფეტზე ჯაჭვით ჰქონდათ მიკრული მარცხენა ხელი, მეოთხეს მარცხენა ფეხი ჰქონდა მიკრული.

გვამებთან დოკუმენტები არ აღმოჩნდა, მაგრამ ამ უბანზე წამოყვანილმა ტყვეებმა დაკითხვის დროს განაცხადეს, რომ აქ მოქმედებდა გერმანელთა 56-ე დივიზიის 156-ე საარტილერიო პოლკი; დივიზიას მეთაურობს გენერალი ფონ ოფენი.

დღეს წინა კიდიდან მოიტანეს ერთ-ერთი ეს სამაჯური, რომლითაც ფაშისტებს ჯარისკაცები ქვემეხსა და ტყვიამფრქვევზე ჰყავთ მიკრული. სამაჯური 8 ნიკელირებული რგოლისაგან შედგება. ძეწკვი ძაღლის ალვირს ჰგავს და ხაზის თავის ოდენა ბურთის მსგავსი კლიტე აქვს.

ვ. არეფიევი

ფაშისტებმა მძიმედ დაჭრილი წითელარმიელები დააჩხვლიტეს

კალინინის ფრონტი, 16 ივლისი (საკუთრ. სპეცკორესპონდენტისაგან). ... მებრძოლებმა და კოლმეურნეებმა ფაშისტი კაციჭამიების ნაწამებ წითელარმიელთა გვამები იპოვნეს.

გამოირკვა, რომ გერმანელებმა ბრძოლის შემდეგ ხელში ჩაიგდეს მძიმედ დაჭრილ მებრძოლთა ჯგუფი; მათ შორის იყო უმცროსი სერჟანტი ნ. ი. პოვალიევი. ტყვეობაში პოვალიევი და მისი ამხანაგები მხეცურად აწამეს და დახვრიტეს.

ნაწამებ მებრძოლთა გვამებს დანით მიყენებული ჭრილობები და კრინდაის კვალი აჩნევია. დაღუპულ ამხანაგებს კისერზე შემოჭერილი აქვთ თოკი და ჩვარი. გერმანელებმა, რაკი ტყვეებს ვერაფერი დააცდენინეს, წამების და ცემის შემდეგ დახვრიტეს ისინი.

ვ. სოგოლევი

ხუთი ავიაგამანადგურებლის ბრძოლა გერმანელთა 22 თვითმფრინავის წინააღმდეგ

დასავლეთის ფრონტი, 15 ივლისი (საკუთრ. სპეც. კორესპონდენტისაგან). ... გამანადგურებელი ნაწილის მფრინავებმა უფროსმა ლეიტენანტებმა რუბცოვმა, უმცროსმა ლეიტენანტებმა ხოხლოვმა და ვოლკოვმა ჰაერში გზა გადაუჭრეს 10 „იუნკერსს“, რომლებიც ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის დაბომბვას აპირებდნენ.

საბჭოთა მფრინავები ბომბდამშენთა ჯგუფში შეიჭრნენ. გაიმართა საჰაერო ბრძოლა. ... „იუნკერსს“ 100-150 მეტრით მიუახლოვდნენ და ჩამოაგდეს. მტრის მეორე ბომბდამშენზე იერიში მიიტანა ხოხლოვმა კიდევ უფრო მოკლე დისტანციიდან. „იუნკერსი“ სერიოზულად დაზიანდა.

ფაშისტთა თვითმფრინავებმა რადიოთი მაშველი ძალები გამოიძახეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ჰაერში 12 „მესერშმიტი“ გამოჩნდა. საბჭოთა ავიაგამანადგურებლებს საომარი მასალა ელეოდათ და საწვავი ეთავდებოდათ. მამაცი სამეულის დასახმარებლად კიდევ ორი ავიაგამანადგურებელი მოვიდა. ... ფაშისტებმა ვერ შესძლეს დასახლებული პუნქტის დაბომბვა, ...

ვ. არეფიევი

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით: წითელარმიელი აკაკი კვირიას-ძე **აბაშვილი.**

წითელი დროშის ორდენით: ბატალიონის კომისარი, ლენინის ორდენოსანი გრიგოლ ტროფიმეს-ძე **ბუაძე,** კაპიტანი სერგი პროკოფის-ძე **დუპლია,** უფროსი პოლიტრუკი ჯემალ მურადის-ძე **ბაკურიძე,** ლეიტენანტი სტეფანე რომანის-ძე **ლიპაია,** სერჟანტი გრიგოლ თომას-ძე **სვანიძე.**

წითელი ვარსკვლავის ორდენით: ლეიტენანტი ვახტანგ შალვას-ძე **გაბრინაძე,** უფროსი სერჟანტი გრიგოლ სევერიანეს-ძე **თავზიძე,** უმცროსი სერჟანტი კონსტანტინე ანდრიას-ძე **ანაკიძე,** წითელარმიელი შოთა **კინპურაშვილი.**

მედლით „მამაცობისათვის“: ლეიტენანტი ვასილ აბრამის-ძე **თოფჩია,** უმცროსი სერჟანტი ავქსენტი კალისტრატეს-ძე **შალიკიანი,** უმცროსი სერჟანტი ნიკოლოზ ივანეს-ძე **ცინცერია,** უმცროსი სერჟანტი ვახტანგ ვლადიმერის-ძე **ბაქრაძე,** წითელარმიელები იაგორ ილიას-ძე **კომხაძე,** ტიმოთე მიხეილის-ძე **ფალია.**

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“: გიორგი საქსის-ძე **პანდოშვილი,** წითელარმიელები გიორგი ვასილის-ძე **გერსეშვილი,** ვასილ გრიგოლის-ძე **ტაცია.**

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ბათუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). 16 ივლისს შედგა საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია გ. თვალჭრელიძე, მეორე მდივნად ე. ებრალიძე, მდივნად კადრების დარგში ა. ჩუბინიძე და მდივნად მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში გ. მაზმანიშვილი.

საქალაქო კომიტეტის ბიუროს შემადგენლობაში არჩეულ იქნენ ამხანაგები თვალჭრელიძე, ებრალიძე, ჩუბინიძე, მაზმანიშვილი, ჯაჭია, სტეფანოვი და ნაჭყებია, კანდიდატებად ამხ. ტოროტაძე და ღვალაძე.

ს. ქურაშვილი

დაიწყო სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარება

ლაგოდეხი (ტელეგრაფით). რაიონში უკვე დაიწყო ახალი მოსავლის თამბაქოს ჩაბარება სახელმწიფოსათვის. 11 ივლისს სოფელ თამაარიანის კოლმეურნეობა „წინსვლამ“ ბრიგადით (ბრიგადირი მათიკო ბაწაძე) 365 კილოგრამი თამბაქო ჩააბარა სახელმწიფოს. თამბაქო ჩააბარეს აგრეთვე სოფელ ყარსუბნის კოლმეურნეობა „წითელმა ჯავშანმა“ (534 კილოგრამი) და სოფელ ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობამ (200 კილოგრამი).

ვრ. ხიდეშელი

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში და სსრ კავშირის მინსახკომის პოლიტსამმართველოში

სსრ კავშირის მიწსახკომმა და სსრ კავშირის მიწსახკომის პოლიტსამმართველომ, განიხილეს რა უხვი მოსავლისათვის გაჩაღებული სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების წინასწარი შედეგები ოლქებისა, მხარეებისა და რესპუბლიკების მიხედვით, შეჯიბრების პირობების შესაბამისად, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატებად სცნეს შემდეგი ოლქები, მხარეები და რესპუბლიკები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო თესვის სახელმწიფო გეგმა:

პრიმორიეს მხარე,	რომელმაც საგაზაფხულო თესვის გეგმა შეასრულა	119 პროც.
უზბეკეთის სსრ	" " " " "	108 "
ირკუტსკის ოლქი	" " " " "	106 "
ყაზახეთის სსრ	" " " " "	104 "
გორკის ოლქი	" " " " "	101 "
ჩკალოვის ოლქი	" " " " "	101 "
კუიბიშევის ოლქი	" " " " "	101 "
ალტაის მხარე	" " " " "	100,4 "

ამ ოლქებმა, მხარეებმა და რესპუბლიკებმა გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაადიდეს ნათესების ფართობი და კარგი შედეგები აქვთ კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მხრივ.

• • •

სსრ კავშირის მიწსახკომმა და სსრ კავშირის მიწსახკომის პოლიტსამმართველომ, განიხილეს რა საკოლმეურნეო მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის გაჩაღებული სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების წინასწარი შედეგები, შეჯიბრების პირობების შესაბამისად, **თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატებად** სცნეს შემდეგი ოლქები, მხარეები და რესპუბლიკები, რომლებმაც უკეთესი შედეგები მოგვცეს საქონლის სულადობის ზრდის მხრივ:

	საქონლის სულადობა პროცენტობით 1942 წლის 1 იანვრის მიმართ		
	მსხვილფეხა რქიანი საქონლისა	ცხვრებისა და თხებისა	ღორებისა
ივანოვოს ოლქი	149	172	121
ალტაის მხარე	118	143	125
გორკის ოლქი	116	135	108
სვერდლოვსკის ოლქი	110	135	—
ყაზახეთის სსრ	109	132	116
ტაჯიკეთის სსრ	107	119	—
ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ	101	134	132
ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ	101	123	113

ამ ოლქებმა, მხარეებმა და რესპუბლიკებმა, გადაჭარბებით შეასრულეს რა საშემოდგომო კულტურათა თესვის სახელმწიფო გეგმა, წარმატებით დაამთავრეს საგაზაფხულო თესვა.

• • •

სსრ კავშირის მიწსახკომმა და სსრ კავშირის მიწსახკომის პოლიტსამმართველომ აღნიშნეს აგრეთვე კარგი მუშაობა საგაზაფხულო თესვის ჩატარების მხრივ შემდეგ ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს საშემოდგომო კულტურათა თესვის გეგმა: ყალმუხეთის ასსრ, კალინინის ოლქი, ყირგიზეთის სსრ, ლენინგრადის ოლქი, კომის ასსრ, დაღესტნის ასსრ, ბურიატ-მონღოლეთის ასსრ, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ, მოლოტოვის ოლქი, ხაბაროვსკის მხარე და კრასნოიარსკის მხარე,—თუმცა სხვა მაჩვენებლების მხრივ ისინი ჯერ კიდევ არ შეიძლება მიეკუთვნონ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატთა რიცხვს.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოსა, სსრ კავშირის მინსახკომსა და სსრ კავშირის მინსახკომის პოლიტსამმართველოში

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ, სსრ კავშირის მიწსახკომმა და სსრ კავშირის მიწსახკომის პოლიტსამმართველომ, განიხილეს რა წინასწარი მასალები მტს-ების, მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოებისა და მოტორსარემონტო ქარხნების სრულიად - საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებისა საგაზაფხულო თესვის შედეგების შესახებ, შეჯიბრების პირობების შესაბამისად, **თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატებად** სცნეს შემდეგი ოლქები, მხარეები და რესპუბლიკები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო თესვის გეგმა და საუკეთესო შედეგები მოგვცეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ სატრაქტორო სამუშაოს სახელმწიფო გეგმის შესრულების მხრივ:

თურქმენეთის სსრ, მოსკოვის ოლქი, ტაჯიკეთის სსრ, საქართველოს სსრ, კრასნოდარის მხარე, ორჯონიკიძის მხარე, ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ, ჩუვაშეთის ასსრ.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოსა და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატში

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის მარცვლეულის და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატმა, განიხილეს რა 1942 წლის საგაზაფხულო თესვისათვის (პირველი პერიოდი მემინდვრეობაში) საბჭოთა მეურნეობების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, ...

მეურნეობა „გორნიაკი“ (საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. კოვალენკოვი, პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. გურიანოვი).

მოსკოვის ოლქის გორკის სახელობის ბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობა (საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ბაბკინი, პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. ფადეევი).

მოსკოვის ოლქის XVI პარტყრილობის სახელობის ბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობა ...

...

სახსრების შეგროვება ავიაგამანადგურებელთა ესკადრილიისათვის

საბჭოთა კავშირის გმირის დიდის მარიამ ლუკიანოვას ინიციატივით ბაუმანის რაიონის (მოსკოვი) მშრომელებმა დაიწყეს სახსრების შეგროვება ავიაგამანადგურებელთა ესკადრილიის ასაგებად. რაიონის სახლთმმართველობებსა და საწარმოებში უკვე შეგროვილია 100 ათას მანეთზე მეტი. (საკდეს).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

16 ივლისის დილის ცნობა

15 ივლისის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მტერთან ვორონეჟის რაიონში და მილეროვოს სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

ვორონეჟის რაიონში ჩვენს ჯარებს მთელ რიგ უბნებზე კონტრიერიში მიაქვთ მტრის წინააღმდეგ და დიდ ზარალს აყენებენ მას. ჩვენმა ნაწილმა, რომელსაც ტანკები ეხმარებოდნენ, დღე-ღამის განმავლობაში 1.200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტა და 8 ტანკი, 12 ტყვიამფრქვევი, 7 ნაღმსატყორცნი და 9 ავტომანქანა მოსპო. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა რამდენიმე უკან დაახევინეს მტერს, გერმანელთა 5 ტანკი მოსპეს და 350 ჰიტლერელი დახოცეს. ჩვენმა სატანკო ქვეგანაყოფმა გერმანელთა დიდი შენაერთის შტაბი გაანადგურა. ხელთ ვიგდეთ შტაბის დოკუმენტები, 2 ტანკი და ტყვეები.

• • •

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენმა ნაწილმა მტრის სამი იერიში მოიგერია. ჩვენი მებრძოლები კონტრიერიშზე გადავიდნენ და მედგარი ბრძოლის შემდეგ გამაგრებული პუნქტი დაიკავეს. დახოცილია 1.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებულია გერმანელთა 2 ტანკი.

• • •

ჰიტლერელებმა კალინინის ფრონტის ცალკეულ უბნებზე რამდენიმე უშედეგო იერიში მიიტანეს. ამ ბრძოლებში დიდი ოსტატობა გამოიჩინეს ჩვენმა ჯავშანსაწინააღმდეგო თოფისმტყორცნელებმა. მებრძოლებმა—ამხ. პავლოვმა, პოლიანცევმა და ბუსინოვმა მტრის თითო ტანკი დასწვეს. გარდა ამისა, მათ გერმანელთა 4 ტანკი მოსპეს ჯგუფური ცეცხლით. მეზენიტეებმა ამხ. შუკაილოს მეთაურობით ამ უკანასკნელ დღეებში გერმანელთა 7 ბომბდამშენი ჩამოაგდეს. წარმატებით მოქმედებენ ჩვენი სნაიპერები. ათეულის მეთაურმა, უფროსმა სერჟანტმა ამხ. კუზნეცოვმა ივლისის 14 დღის განმავლობაში 118 ჰიტლერელი გაჟლიტა, ხოლო მისმა ათეულმა ერთად—300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცა.

• • •

მტრის ერთი იერიშის მოგერიების დროს მწყობრიდან გამოვიდა ჩვენი ქვემეხის გუნდი. საარტილერიო ბატარეის მეთაური ამხ. კუზმინი და სამხედრო კომისარი ამხ. იბრაჰიმოვი ქვემეხთან დადგნენ, სროლა ასტეხეს და გერმანელთა 4 ტანკი დააზიანეს.

• • •

მფრინავი გამანადგურებლები — კაპიტანი ნებიტოვი, უფროსი ლეიტენანტი რუბცოვი, უმცროსი ლეიტენანტი ხოხლოვი, უმცროსი ლეიტენანტი ვოლკოვი გერმანელთა 10 თვითმფრინავს შეხვდნენ ჰაერში. ჩვენმა მფრინავებმა იერიში მიიტანეს მტერზე და მისი 2 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

• • •

გერმანელთა მე-7 ქვეითი დივიზიის 61-ე პოლკის მე-9 ასეულის ჯარისკაცმა ჰანს რაიდერმა, რომელიც ტყვედ არის წამოყვანილი დასავლეთის ფრონტზე, განაცხადა: „ერთი საათის საარტილერიო მომზადების შემდეგ ჩვენ შეტევაზე გადმოვედით. რუსებმა ტყვიამფრქვევისა და ნაღმსატყორცნის გრიგალისებრი ცეცხლი გააჩაღეს და თავი არ აგვაღებინეს. საშინელი სურათი იყო. ჩვენს ასეულში სულ რამდენიმე კაცი გადარჩა ცოცხალი. ასეულმა თითქმის მთელი მატერიალური ნაწილი დაჰკარგა. ასეთივე ბედი ეწია პოლკის სხვა ქვეგანაყოფებსაც".

• • •

გერმანელმა ოკუპანტებმა გაძარცვეს ორიოლის ოლქის სოფელ გოლიშინოს ყველა მცხოვრები, დაანგრიეს და პირწმინდად დასწვეს 279 სახლი. ჰიტლერელმა ბანდიტებმა კოლმეურნეობის მთელი სამეურნეო ნაგებობანი მოსპეს და წამებით მოჰკლეს 26 ადგილობრივი მცხოვრები. კოლმეურნე გორდეი ვასილის-ძე დეგტიარევის ოჯახი, მისი ცოლი მარიამ ივანეს-ასული, 64 წლისა, რძალი პელაგია პავლეს-ასული, 25 წლისა, და ქალი ანა, 20 წლისა, გერმანელებმა ხიშტით მოჰკლეს. მოხუცი ქრისტინე ლავრენტის-ასული მიტიჩკინა და მისი 2 წლის შვილიშვილი ფაშისტმა კაციჭამიებმა სარდაფში ჩაჰკეტეს და შემდეგ ყოველი მხრით ცეცხლი წაუკიდეს სახლს.

• • •

ფრანგი პატრიოტები თავდადებულად იბრძვიან გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამას წინათ პარიზში, ელისეს მინდვრებში გერმანელი მაიორი მოჰკლეს. მსროლელი ველოსიპედით მიიმალა. ქალაქ ბულონ-სიურ-სენ-ს (პარიზის ახლოს) ორი გერმანელი ჯარისკაცის გვამი იპოვნეს.

16 ივლისის საღამოს ცნობა

16 ივლისის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან ვორონეჟის რაიონში.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

15 ივლისის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 40-მდე ტანკი, 150 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, 8 ავტოცისტერნი საწვავიანად, ააფეთქეს საწყობი საომარ მასალიანად, დაამტვრიეს რკინიგზის შემადგენლობა, ჩასძირეს ტანკერი და დააზიანეს სადარაჯო გემი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი და კავალერიის ესკადრონი.

• • •

ვორონეჟის რაიონში ჩვენი ჯარები თავდადებით ებრძვიან გერმანელ ფაშისტთა ჯარებს. ცალკეულ უბნებზე ინიციატივა საბჭოთა ჯარის ნაწილების ხელში გადმოვიდა, და ჰიტლერელები იძულებული გახდნენ თავდაცვაზე გადასულიყვნენ. ერთი ჩვენი ნაწილი, რომელიც წინ მიიწევდა, მტრის მძლავრ ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვას წააწყდა. ჩვენმა მებრძოლებმა სწრაფი დარტყმით გაარღვიეს თავდაცვის პირველი ხაზი და ამასთან 100-ზე მეტი ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი გაანადგურეს. შემდეგ გარღვეულ იქნა გერმანელთა მეორე თავდაცვითი ზღუდეც. ჩვენმა სხვა ნაწილმა დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლაში მოსპო გერმანელთა 7 ტანკი, 22 ქვემეხი, ჯავშნიანი მანქანა, 14 ავტომანქანა ტვირთიანად, 10 სატყვიამფრქვევო წერტი და მტრის ერთ ბატალიონზე მეტი ქვეითი ჯარი. ერთ-ერთ უბანზე ჰიტლერელები ერთ ბატალიონამდე ძალით შეტევაზე გადმოვიდნენ ჩვენი გამაგრებული ზღუდეების წინააღმდეგ. ჩვენმა გვარდიელებმა არტილერიის, ნაღმსატყორცნისა და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაანადგურეს გერმანელთა ბატალიონი. მხოლოდ რამდენიმე ათეულმა ჰიტლერელმა მოახერხა თავის გადარჩენა გაქცევით.

• • •

მილეროვოს სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით გადმოდიოდნენ ახალ პოზიციებზე. ჩვენი ნაწილები გერმანელ ფაშისტთა ჯარების ჭარბ ძალებთან განუწყვეტელ მძიმე ბრძოლებში დიდ ზარალს აყენებენ გერმანელებს. ერთი ჩვენი ნაწილის მებრძოლებმა 3 დღის დაძაბულ ბრძოლებში 4.000-მდე ჰიტლერელი გაჟლიტეს და გერმანელთა 35 ტანკი მოსპეს. ჩვენი ავიაცია გაბედული თავდასხმებით ანადგურებს შეტევაზე გადმოსულ ჰიტლერელთა ჯარების რიგებს.

• • •

დღის განმავლობაში დასავლეთის ფრონტის ცალკეულ უბნებზე ჩვენმა არტილერიამ, ნაღმსატყორცნებმა და მზვერავთა ჯგუფებმა 1.200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტეს. ხელთ ვიგდეთ ტყვეები.

• • •

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა დასახლებული პუნქტიდან გარეკეს გერმანელები. მტერმა დაჰკარგა 3 ტანკი და 250 ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

სამხედრო ტექნიკოს ამხ. ივანკოს ბრიგადამ საველე პირობებში 50 საათს დაუსვენებლად იმუშავა და ვადამდე გამოუშვა რემონტიდან 4 ტანკი. პირველსავე ბრძოლაში უმცროს ლეიტენანტ ფროლოვის ეკიპაჟმა ერთ-ერთი შეკეთებული მანქანით მოსპო გერმანელთა 3 ტანკი და ერთი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი.

• • •

სნაიპერი სიმონ ნომოკონოვი საუკეთესოდ დაეუფლა სამხაზიან შაშხანას. 1941 წლის ნოემბრიდან მან 222 ჰიტლერელი დახოცა. მისმა მოწაფემ წითელარმიელმა კურილოვმა 98 გერმანელი გაჟლიტა.

• • •

ლენინგრადელ პარტიზანთა იმ რაზმის ჯგუფი, რომლის მეთაურიც არის ამხ. ს., გზატკეცილთან ჩასაფრდა და გრანატები დაუყარა მტრის ავტოკოლონას. პარტიზანებმა ჰიტლერელთა არევ-დარევით ისარგებლეს და მოსპეს 5 სატვირთო ავტომანქანა საწვავიანად და საომარ მასალიანად და დახოცეს 35 გერმანელი ფაშისტი ოკუპანტი.

• • •

გერმანელთა 82-ე ქვეითი დივიზიის 166 პოლკის ტყვედ წამოყვანილმა ჯარისკაცმა ვილჰელმ მ-მ განაცხადა: „ორი დღის ბრძოლებში მესამე ბატალიონმა 250-ზე მეტი კაცი დაჰკარგა მოკლულთა სახით, მათ შორის მოკლულია ბატალიონის მეთაური მაიორი ბოზე. უდიდესი ზარალის გამო სარდლობას ბრძოლაში გამოჰყავს აღალის და სხვა არასამწყობრო გუნდების ჯარისკაცები. მე სულ ცხენწამყვანი ვიყავი. ივლისის პირველ რიცხვებიდან მსროლელად დამნიშნეს და მოწინავე პოზიციებზე გამგზავნეს".

• • •

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა გაძარცვეს და გადასწვეს ორიოლის ოლქის სოფელი ალეშოკი. ცეცხლმა მოსპო 97 საცხოვრებელი სახლი და კოლმეურნეობის მთელი საზოგადოებრივი ნაგებობანი. ჰიტლერელებმა მრავალი გლეხი აწამეს და დახვრიტეს. ჯალათები სახლში შეეჭრნენ კოლმეურნე ანტონ ივანეს-ძე კაზაკოვს, ჯერ 5 შვილი მოუკლეს, შემდეგ კი კაზაკოვის ცოლი და თვითონ ისიც მოჰკლეს. ჰიტლერელმა მხეცებმა 17 წლის ქალიშვილი მარიამ პოტანჩიკოვა გააუპატიურეს, შემდეგ კი დახვრიტეს.

• • •

გერმანიაში ფართოდ იყენებენ ფქვილის ახალ შემცვლელს, რომელიც ქიმიური მრეწველობის ნარჩენებისაგან მზადდება. პურის გამოცხობის დროს ფქვილში სულ ცოტა 30 პროცენტ შემცვლელს ურევენ. ასეთი „ერზაც-პური" მასობრივს კუჭის დაავადებას იწვევს.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 1942 წლის ივნისისათვის

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოსა და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატში

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა, განიხილეს რა სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 1942 წლის ივნისისათვის, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნეს ქვანახშირის მრეწველობის სახკომატის შემდეგი შახტები და ტრესტები, რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს:

კომბინატ „კუზბასუგოლის" ტრესტ „პროკოპიევსკუგოლის" შახტი ზიმინკა.

კომბინატ „მოსკვოუგოლის" ტრესტ „ტოვარკოვუგოლის" შრომის წითელი დროშის ორდენოსანი № 24 შახტი.

კომბინატ „მოსკვოუგოლის" ტრესტი „ბოლოხოვუგოლი".

ამ შახტებმა და ტრესტმა ივნისში გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფო გეგმა, შეამცირეს ნახშირის ნაცრიანობა დაწესებულ სტანდარტთან შედარებით, გადაჭარბებით შეასრულეს მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა, ხოლო № 24 შახტმა და ტრესტმა „ბოლოხოვუგოლმა", ამას გარდა, გადაჭარბებით შეასრულეს აღდგენით სამუშაოთა გეგმა.

საკავშირო პროფსაბჭომ და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტეს:

გადაეცეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და მიენიჭოს წოდება „საბჭოთა კავშირის ქვანახშირის საუკეთესო შახტი" კომბინატ „კუზბასუგოლის" ტრესტ „პროკოპიევსკუგოლის" შახტ ზიმინკას (შახტის გამგე ამხ. კოსოგოროვი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ამხ. ელკინი, შახტკომის თავმჯდომარე ამხ. კარპენკო);

გადაეცეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და მიენიჭოს წოდება „საბჭოთა კავშირის ქვანახშირის საუკეთესო შახტი" კომბინატ „მოსკვოუგოლის" ტრესტ „ტოვარკოვუგოლის" შრომის წითელი დროშის ორდენოსან № 24 შახტს (შახტის გამგე ამხ. როდიონოვი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ამხ. სანიხინი, შახტკომის თავმჯდომარე ამხ. ნოვიკოვი);

გადაეცეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა კომბინატ „მოსკვოუგოლის" ტრესტ „ბოლოხოვუგოლს" (ტრესტის მმართველი ამხ. პრიხოდკო, საკ. კ. პ. (ბ) რაიკომის მდივანი ამხ. როჟკოვი, პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე ამხ. მარუნინი).

საკავშირო პროფსაბჭომ და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტეს პირველი პრემიები მისცენ აღნიშნულ შახტებსა და ტრესტს იმ მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო ღონისძიებათა განსახორციელებლად.

საკავშირო პროფსაბჭომ და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავუგლემაშის" საწარმოთა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნეს კარლ მარქსის სახელობის ჩერემხოვოს მანქანათმშენებელი ქარხანა, რომელმაც ივნისში ყველაზე მეტად გადააჭარბა ქვანახშირის მრეწველობის მოწყობილობის და თავდაცვითი პროდუქციის წარმოების სახელმწიფო გეგმას.

საკავშირო პროფსაბჭომ და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტეს:

გადაეცეს საკავშირო პროფსაბჭოსა და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა და მიეცეს პრემია ჩერემხოვოს მანქანათმშენებელ ქარხანას (დირექტორი ამხ. მალოვი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ბოგდანოვი, ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. შევჩენკო).

საკავშირო პროფსაბჭომ და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა სცნეს, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილები ივნისში დაიკავეს ქვანახშირის მრეწველობის სახკომატის შემდეგმა საწარმოებმა:

კომბინატ „კუზბასუგოლის" ტრესტ „პროკოპიევსკუგოლის" კაგანოვიჩის სახელობის შახტმა;

კომბინატ „მოსკვოუგოლის" ტრესტ „ბოლოხოვუგოლის" № 17-ბის შახტმა;

კომბინატ „სვერდლოვსკუგოლის" ტრესტმა „ბოლოხოვუგოლმა".

საკავშირო პროფსაბჭომ და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტეს:

გადაეცეს საკავშირო პროფსაბჭოსა და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა და მიეცეს პრემია კომბინატ „კუზბასუგოლის" ტრესტ „პროკოპიევსკუგოლის" კაგანოვიჩის სახელობის შახტს (შახტის გამგე ამხ. პოგრებნიაკი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ამხ. ობდიცოვი, შახტკომის თავმჯდომარე ამხ. კაბანოვი);

გადაეცეს საკავშირო პროფსაბჭოსა და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა და მიეცეს პრემია კომბინატ „მოსკვოუგოლის" ტრესტ „ბოლოხოვუგოლის" № 17-ბის შახტს (შახტის გამგე ამხ. გილერი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ამხ. კომისაროვი, შახტკომის თავმჯდომარე ამხ. რადენკო);

გადაეცეს საკავშირო პროფსაბჭოს და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა და მიეცეს პრემია კომბინატ „სვერდლოვსკუგოლის" ტრესტ „ბოლოხოვუგოლს" (ტრესტის მმართველი ამხ. კარპაჩევი, საკ. კ. პ. (ბ) ქალაქკომის მდივანი ამხ. ზავლობა, პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე ამხ. პიკალოვა).

საკავშირო პროფსაბჭომ და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა სცნეს, რომ ივნისში სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე ადგილები დაიკავეს ქვანახშირის მრეწველობის სახკომატის შემდეგმა შახტებმა:

კომბინატ „კუზბასუგოლის" ტრესტ „სტალინუგოლის" № 3-3-ბის შახტმა;

კომბინატ „ჩელიაბინსკუგოლის" ტრესტ „ჩელიაბუგოლის" № 21-23 შახტმა.

საკავშირო პროფსაბჭომ და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტეს:

გადაეცეს საკავშირო პროფსაბჭოსა და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა და მიეცეს პრემია კომბინატ „კუზბასუგოლის" ტრესტ „სტალინუგოლის" № 3-3-ბის შახტს (შახტის გამგე ამხ. ლინდენაუ, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ამხ. შემიაკინი);

გადაეცეს საკავშირო პროფსაბჭოსა და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა და მიეცეს პრემია კომბინატ „ჩელიაბინსკუგოლის" ტრესტ „ჩელიაბუგოლის" № 21-23 შახტს (შახტის გამგე ამხ. კუზიუკოვი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ამხ. კოტოვი, შახტკომის თავმჯდომარე ამხ. ნეგოდიაევი).

საკავშირო პროფსაბჭომ და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტეს მისცენ ფულადი პრემიები იმ მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო ღონისძიებათა განსახორციელებლად შემდეგ შახტებსა და ქარხნებს, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფო გეგმა:

კუზნეცკის ქვანახშირის ბასეინში:

ტრესტ „სტალინუგოლის" შახტს ჩორნაია გორას, ტრესტ „კაგანოვიჩუგოლის" № 3 შახტს, ტრესტ „ლენინუგოლის" კიროვის სახელობისა და ჟურინკის შახტს, ტრესტ „მოლოტოვუგოლის" № 9 შახტს, ტრესტ „პროკოპიევსკუგოლის" კალინინის სახელობის შახტს.

ურალის ქვანახშირის ბასეინებში:

კომბინატ „სვერდლოვსკუგოლის" ტრესტ „ბოგოსლოვუგოლის" № 2 ჭრილს, კომბინატ „ჩელიაბინსკუგოლის" ტრესტ „კორკინუგოლის" № 2 ჭრილს, „გლავუგლემაშის" არტემოვსკის ქარხანას.

მოსკოვგარემო ბასეინში:

ტრესტ „სტალინოგორსკუგოლის" № 10, № 15 და № 19 შახტებს, ტრესტ „ტოვარკოვუგოლის" № 9 შახტს, ტრესტ „მოლოტოვუგოლის" № 2, № 24 შახტებს, ტრესტ „შეკინუგოლის" № 18 შახტს და ტრესტ „ოქტიაბრუგოლის" № 46 შახტს.

ქვანახშირის სხვა ბასეინებში:

კომბინატ „როსტოვუგოლის" ტრესტ „გუკოვუგოლის" № 15-16 შახტებსა და „ნესვეტაიანტრაციტის" № 7 შახტს, ტრესტ „ვოსტსიბუგოლის" შახტ „კასიანოვკას" და ტრესტ „არტემუგოლის" № 3 შახტს.

ამავე დროს საკავშირო პროფსაბჭომ და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა აღნიშნეს ქვანახშირის შემდეგი ტრესტების კარგი მუშაობა და გადასწყვიტეს მისცენ პრემიები:

„მოლოტოვუგოლს" მოსკოვგარემო ბასეინში, „პროკოპიევსკუგოლსა" და „სტალინუგოლს" კუზბასში. (საკდესი).

დივიზიის ერთი წლის ბრძოლის შედეგი

მოქმედი არმია, 9 ივლისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). დივიზიამ, რომელსაც მეთაურობს ორდენოსანი პოლკოვნიკი ბატიცკი, აღნიშნა სამამულო ომში თავისი მონაწილეობის წლისთავი. დივიზიის გამანადგურებელი დარტყმების ძალა თავის თავზე გამოსცადეს ჰიტლერის რჩეულმა ჯარებმა, მათ შორის „სს" დივიზია „მკვდარმა თავმა".

ბატიცკის დივიზიის მებრძოლებმა ერთი წლის განმავლობაში დახოცეს დაახლოებით 8 ათასი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს საკმაოდ ბევრი ტყვე და დიდძალი დავლა, მათ შორის—25 საარტილერიო ქვემეხი, 26 ნაღმსატყორცნი, 1.000-მდე შაშხანა, მრავალი ტყვიამფრქვევი და ავტომატი, მილიონი ვაზნა, რამდენიმე ათასი ყუმბარა, გრანატი და ნაღმი.

საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს დაჭრილ მეტყვიამფრქვევე კოზლოვის უმაგალითო გმირობას: მან 100 გერმანელი ოკუპანტი მოსპო და, როცა ვაზნები გამოელია, გრანატებიანად შეუვარდა ქვეშ ფაშისტთა ტანკს და ააფეთქა იგი.

საყოველთაო აღტაცებას იწვევს 8 არტილერისტის გმირობა. ისინი ლეიტენანტ დემენტიევის მეთაურობით 53,3 მაღლობს იცავდნენ. 8 ვაჟკაცი 3 დღე-ღამის განმავლობაში აკავებდა ფაშისტთა მთელი ქვეგანაყოფის იერიშებს. გერმანიის თვითმფრინავებმა მაღლობი რამდენჯერმე დაბომბეს. საარტილერიო ყუმბარებმა მთელი მიწა გადათხარეს. ქვემეხის გუნდების წინააღმდეგ ტანკები იქნა გამოყვანილი. 8 გმირმა მტრის მრავალი ჯარისკაცის დახოცვა მოასწრო და მამაცთა სიკვდილით დაიღუპა.

დივიზიის მებრძოლები და მეთაურები წმიდად იცავენ ნაწილის სახელოვან ტრადიციებს.

ი. დენისოვი

დ. შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონია

დ. შოსტაკოვიჩის ყოველი ახალი ნაწარმოები ცხოველ ინტერესს იწვევს. განსაკუთრებით ეს ითქმის მისი უკანასკნელი ქმნილების—მეშვიდე სიმფონიის შესახებ. ამ შესანიშნავ ნაწარმოებში ნათლად არის გამოხატული საბჭოთა ხალხის გრძნობები და განცდა- [illegible]

მეშვიდე სიმფონია შესდგება ოთხი ნაწილისაგან, თვით ავტორი მას პროგრამულ ნაწარმოებს უწოდებს და გადმოგვცემს ყოველი ნაწილის მოკლე შინაარსს. „პირველი ნაწილი,— სწერს შოსტაკოვიჩი,—მოგვითხრობს იმის შესახებ, [illegible]

[illegible]

პირველი და მეორე თემა, სავსე იმედიანობით და მომავალი გამარჯვების ღრმა რწმენით. აქა-იქ გაიელვებს ომის თემა, დაქსაქსული და დასუსტებული. ეს ნიშნავს იმას, რომ მტერი ჯერ კიდევ არ არის სავსებით განადგურებული. საბჭოთა ადამიანებს კვლავ მოელით ბრძოლა მექანიზებული მხეცის საბოლოოდ [illegible]

ლი ნაწილის მთავარი თემა. მაგრამ მის ენერგიულ, ბრგე სახეს ემატება საზეიმო, ტრიუმფალური ხასიათი, რაც გამოხატავს ჩვენი ხალხის ღრმა რწმენას საბოლოო გამარჯვებისადმი ზნელეთის ძალებზე.

შოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონია, მის სხვა ნაწარმოებებთან და მის შემოქმედებითს უნა- [illegible]

ა. ხუცი

ორდენოსანი პოლკოვნიკი შ. ბრეგაძე

ერთ დღეს ფოსტალიონმა პატარა გოგონას ალისა ბრეგაძეს ფრონტზე მყოფი მამის წერილი გადასცა. ბავშვმა წერილი მყისვე გახსნა, წაიკითხა და გახარებულმა დედასთან მიირბინა:

„სალამი ჩემო ოლღა და პატარა ალისა! — სწერდა პოლკოვნიკი შ. ბრეგაძე. — ვიცი ჩემი ჯავრი გექნებათ. მე შესანიშნავად ვარ და ვისურვებ თქვენც ასე კარგად და ჯანმრთელად მყოლოდეთ. ფრიცები წინ მოილტვიან, მაგრამ მათ ჩვენი მებრძოლები გზას უღობავენ და დღეს უბნელებენ. ფრიცებს შავ დღეებს ვუთენებთ. მათ ძალიან უყვართ ჩვენს განლაგებაში სოლივით შემოჭრა, ჩვენ მათ ყველას ვსპობთ, როგორც ველის წივილებს...

ჩემი დაჯილდოების ამბავს გაიგებდით. მე მივიღე უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი. ამ დიდი ჯილდოთი მკერდდამშვენებული ამიერიდან კიდევ უფრო დაუნდობელი ვიქნები სისხლისმსმელი ჰიტლერელებისადმი და გაათკეცებული ენერგიით შევებრძოლები ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის დაუძინებელ მტრებს — გერმანელ ოკუპანტებს.

— თქვენ მისწერეთ, — ნათქვამია შემდეგ წერილში, — ჩემს შოთიკოს და მეც გავუგზავნი მას წერილს, რომ მტრებთან ბრძოლაში იყოს დაუნდობელი, ბეჯითად შეისწავლოს სამხედრო საქმე და გახდეს ისეთი, როგორიც უნდა იყოს ჩვენი დიადი სამშობლოს პატრიოტი. „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო",—უთქვამს ჩვენი პოეზიის მშვენებას შოთა რუსთაველს. მე შევეცდები მაგალითის მიმცემი ვიყო ყველასათვის. შვილმაც უნდა მომბაძოს. მისწერეთ შოთიკოს, რომ მამამისი არასოდეს შედრკება მტრის წინაშე და არასოდეს დაიშურებს საკუთარ სიცოცხლეს სამშობლოს სადიდებლოდ".

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის სხვადასხვა ფრონტებზე იბრძვიან მტრის ურდოების გასანადგურებლად ორდენოსანი პოლკოვნიკი მამა შ. ბრეგაძე და მეკავშირე წითელარმიელი შვილი შოთა. მამა და შვილი ღირსეულად იხდიან თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე.

პოლკოვნიკი შალვა ზაქარიას-ძე ბრეგაძე ხელოსნის შვილია. იგი დაიბადა 1900 წელს ქუთაისში. სწავლობდა ქუთაისის პირველ საქალაქო სასწავლებელში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1917 წელს. იმავე წელს იგი გაიწვიეს არმიაში, საიდანაც დაბრუნდა თებერვლის რევოლუციის შემდეგ. შემდგომ წლებში, როდესაც საქართველოში მენშევიკები თარეშობდნენ, ამხ. შ. ბრეგაძე გზატკეცილების სამმართველოში მუშაობდა, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე იგი წითელი არმიის რიგებში შევიდა. 1924 წელს ამხ. შ. ბრეგაძე გაგზავნეს ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში, სადაც მან წარმატებით დაამთავრა კურსი 1927 წელს. ამის შემდეგ იგი განუწყვეტლივ იმყოფებოდა წითელი არმიის რიგებში. ამხ. შ. ბრეგაძე საკ. კ. პ. (ბ) წევრია.

სამამულო ომში პოლკოვნიკმა შ. ბრეგაძემ სახელი გაითქვა, როგორც ნიჭიერმა სამხედრო ხელმძღვანელმა და გაბედულმა მეომარმა.

ერთ-ერთ წერილში ამხ. შ. ბრეგაძე მოგვითხრობს თავისი სახელოვანი ბრძოლების ერთ ეპიზოდს. „ერთხელ მე ჩემი ვაჟკაცი მებრძოლებით მტრის განლაგებაში შევიჭერი, 15 დღე-ღამის განმავლობაში შეუსვენებლივ ვიბრძოდით და მუსრი გავავლეთ მტრის ურდოს. პირადად მე საკუთარი ავტომატით ორი კვირის ბრძოლების განმავლობაში მრავალი ჰიტლერელი გავჟლიტე".

ამ ბრძოლაში პოლკოვნიკ ბრეგაძის მებრძოლებმა დიდად ისახელეს თავი, ასახელეს თავისი მეთაურიც. მთავრობამ ღირსეულად დააჯილდოვა მამაცი და ბრძოლებში გამოწრთობილი პოლკოვნიკი შ. ბრეგაძე.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის პოლკოვნიკი შალვა ზაქარიას-ძე ბრეგაძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

რ. კიწურაშვილი

ორდენოსანი პოდპოლკოვნიკი ს. ნატროშვილი



სიმონ თედორეს-ძე ნატროშვილი დაიბადა 1901 წელს სოფ. ზემო მაჩხაანში (სიღნაღის რ.) გლეხის ოჯახში. 12 წლისამ დაიწყო მუშაობა საქსოვ ფაბრიკაში, 1916 წლიდან კი მუშაობდა სამკინძაო სახელოსნოში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1922 წელს იგი ამთავრებს უმცროს მეთაურთა სამხედრო სკოლას, 1926 წელს კი—საშუალო მეთაურთა სამხედრო სკოლას. ამავე წელს იგი მიღებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) წევრად. 1937 წელს ამხ. ს. ნატროშვილი კაპიტანია. იგი მთელი თავისი ენერგიითა და უნარით მუშაობს თავისი ნაწილის სანიმუშო საბრძოლო-პოლიტიკური მომზადებისათვის. ერთი წლის დაუღალავი მუშაობის შემდეგ კაპიტანი ს. ნატროშვილი დასახულ მიზანს აღწევს და მას ენიჭება მაიორის წოდება.

საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში მაიორი ს. ნატროშვილი მონაწილეობს ჩვენს მიწა-წყალზე ჰიტლერელების შემოჭრის პირველი დღიდანვე. მთელი თვეების მანძილზე განუწყვეტლივ იბრძოდა მაიორი ს. ნატროშვილი თავისი ნაწილით და ძვირად უსვამდა გათავხედებულ მტერს თითოეული ნაბიჯის გადმოდგმას. არაერთხელ შეჭრილა იგი მტრის ზურგში და მედგარი ბრძოლებით გაუთავისუფლებია გერმანელ ოკუპანტებისაგან მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. ერთი ასეთი საბრძოლო ოპერაციის დროს, მაიორ ს. ნატროშვილის ნაწილმა 30 დღე დაჰყო მტრის ზურგში და მუსრი გაავლო ფაშისტებს.

„დიდი მნიშვნელობის ამოცანის შესასრულებლად წავიდა მტრის ზურგში ამხ. ნატროშვილის ნაწილი,—სწერს 1942 წ. 19 მარტს ყოველდღიური წითელარმიული გაზეთი „გეროიჩესკი შტურმ"—30 დღე გააფთრებულ ბრძოლებს აწარმოებდნენ ნატროშვილის მებრძოლები მტერთან. არა ერთი ღამე გაუთენებიათ მათ თოვლსა და ყინვაში. ჰიტლერელების ჭარბი ძალები ყოველდღე ცდილობდნენ ნატროშვილის ნაწილის მოსპობას. არ გამოუვიდათ! იგერიებდნენ რა მტრის იერიშებს, საბჭოთა მებრძოლები აფართოებდნენ ბრძოლის ველს, ათავისუფლებდნენ დასახლებულ პუნქტებს.

ამ გმირული ბრძოლების შესახებ,—განაგრძობს გაზეთი,—მოკლედ მოგვითხრობს პოლიტხელ კულებიაკოვის დღიური. იგი მოგვითხრობს საბჭოთა მეომრების ვაჟკაცობაზე, რომლებიც პირად სახელზე კი არ ფიქრობენ, არამედ სამშობლოს ღირსებაზე, მის თავისუფლებასა და ბედნიერებაზე".

გაზეთის ამ ნომერში მთელი გვერდი აქვს მიძღვნილი ს. ნატროშვილის ნაწილის სახელოვანი ბრძოლების აღწერას აწნლავით „მაიორი ნატროშვილი და მისი მებრძოლები", „ისწავლეთ ორდენოსანი ნაწილის მებრძოლებისაგან გამარჯვების ხელოვნება".

ასეთი გაბედული და წარმატებითი საბრძოლო ოპერაციებისათვის მტრის ზურგში, გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის მაიორი ს. ნატროშვილი და მისი ნაწილი დაჯილდოებულ იქნენ წითელი დროშის ორდენებით.

ამ მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებული მაიორი ს. ნატროშვილი სწერს იმავე გაზეთში „გეროიჩესკი შტურმ":

„ჩემი ნაწილი ორდენოსანი გახდა, მაგრამ ამით საქმე არ გათავებულა. ნაწილი კიდევ მეტი ენერგიით და თავდადებით იბრძოლებს მტრის წინააღმდეგ. ჩვენ კიდევ შევიჭრებით მტრის ზურგში და კვლავ მრავალ დასახლებულ პუნქტს გავათავისუფლებთ. ჩვენ გავამართლებთ მაღალ ჯილდოს".

მეორე წითელარმიული გაზეთი „ზა როდინუ" 1942 წლის 22 მარტს სწერს:

„ამ დღეებში პოლკი, რომელსაც მაიორი ნატროშვილი მეთაურობს, დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით. ეს მაღალი ჯილდო მოპოვებულია გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლებში. გასული წლის 22 ივნისიდან დაწყებული პოლკს ეძლეოდა ფრიად საპასუხისმგებლო დავალებები, და იგი ყველა დავალებას წარმატებით ასრულებდა, თითოეულ საბრძოლო ოპერაციაში აჩვენებდა პირადი შემადგენლობის ვაჟკაცობასა და ხიმამაცეს, მტკიცე შეუპოვარ ნებისყოფასა და დარაზმულობას".

მაიორ ნატროშვილის ნაწილი, მიუხედავად მტრის ძალების სიჭარბისა, ყოველთვის წარმატებით ამთავრებდა საბრძოლო ოპერაციას. ეს აიხსნება იმ ტაქტიკით, რომელსაც მაიორი ნატროშვილი და მისი სახელოვანი მებრძოლები მიმართავდნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. წითელარმიული გაზეთი „გეროიჩესკი შტურმ" უფრო ადრინდელ ნომერში ასე აგვიწერს ბრძოლის ტაქტიკას, რომელსაც მაიორი ნატროშვილი და მისი ნაწილი მიმართავდნენ:

„ამხ. ნატროშვილის სახელოვანი მეომრები მიმართავდნენ უეცარ თავდასხმებს ღამით, უსაფრთხოდნენ მტერს, განუწყვეტლივ უწეოდნენ გზებისა და მტრის ძალების დაზვერვას. ამით აიხსნება ყველა ის გამარჯვება, რომლებიც ნაწილმა გერმანელების ზურგში მოიპოვა.

როდესაც მზვერავებმა ცნობა მოიტანეს, რომ გერმანელები აპირებდნენ იერიში მოეტანათ იმ სოფელზე, რომელშიც ჩვენი მებრძოლები იყვნენ, ნატროშვილმა ბრძანება გასცა დაეტოვებინათ ამ სოფელში მხოლოდ ორი მსროლელი ათეული, ძირითადი ძალები კი ჩასაფრა. გერმანელები სუსტ წინააღმდეგობას რომ გრძნობდნენ, გაბედულად გადმოვიდნენ შეტევაზე. საფარში მყოფმა მებრძოლებმა გერმანელებს თავს დაატეხეს თავისი ცეცხლის მთელი ძალა. მტერმა დიდი ზარალი განიცადა და თავზარდაცემული გაიქცა.

უკვე პირველ დღეებში ამხ. ნატროშვილის მებრძოლებმა შესძლეს წაერთმიათ გერმანელებისათვის რამდენიმე დასახლებული პუნქტი, საფუძვლიანად გამაგრდნენ იქ და კვლავინდებური შეუპოვრობით მიიწევდნენ წინ, დასავლეთისაკენ. ბუჩქნარი, თოვლიანი ტყე, უგზოობა აძნელებდა მოძრაობას. ამასთან შეიქმნა დაბრკოლებანი საკვებითა და საომარი მასალებით მომარაგებაშიც. მაგრამ არაფერს არ შეეძლო შეეკავებინა მებრძოლები, რომლებიც ანთებული იყვნენ შურისძიების კეთილშობილური გრძნობით. და როდესაც პირველი სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა, მათ დაგვანახვეს, თუ რის უნარი შესწევს საბჭოთა მეომარს. უშიშრად შეუტიეს მტერს და გადამწყვეტი დარტყმებით უკუაქციეს იგი.

„რამდენიმე კვირის განმავლობაში მოქმედებდა გერმანელების ზურგში ამხ. ნატროშვილის ნაწილი და მძიმე ზარალს აყენებდა მტერს. მებრძოლები და მეთაურები მტკიცედ და გაბედულად მოქმედებდნენ, გვიჩვენებდნენ სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურის ნიმუშებს და უკვდავი სახელი მოიხვეჭეს".

ერთ-ერთ სასტიკ ბრძოლაში ამხ. ს. ნატროშვილი მძიმედ დაიჭრა მარჯვენა მკლავში და დროებით დასტოვა თავისი სახელოვანი ნაწილი.

ამხ. ნატროშვილი ახლა უკვე პოდპოლკოვნიკია და მოუთმენლად მიისწრაფვის თავისი უშიშარი, მამაცი საბჭოთა მებრძოლებისაკენ, რომ კვლავ გაუძღვეს მათ ჰიტლერელების წინააღმდეგ გმირულ ბრძოლებში სამშობლოსათვის, სტალინისათვის.

შ. გვინჩიძე

ბალტიის სანაოსნოს მეზღვაურთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

საბჭოთა ბალტიკის სატრანსპორტო ფლოტის მეზღვაურები აქტიურად მონაწილეობენ ლენინის ქალაქის გმირულ დაცვაში. მამაცობისა და თავდადების ცოტა ნიმუშები როდი გვიჩვენეს სატრანსპორტო გემების ეკიპაჟებმა გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლებში.

ბალტიის წითელდროშოვანი სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობამ მაღალი შეფასება მისცა მეზღვაურთა მუშაობას. გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის ბალტიის წითელდროშოვანი სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობის ბრძანებით ბალტიის საზღვაო სანაოსნოს მეზღვაურთა ჯგუფი დაჯილდოებულია ორდენებით და მედლებით.

წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული არიან: თბომავლის კაპიტნის თანაშემწე ვ. ს. მამლიგა და თბომავლის კაპიტანი ა. პ. სმირნოვი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებული არიან: თბომავლის კაპიტნის თანაშემწე მ. ლ. ზაბელო, თბომავლის კაპიტნის უფროსი თანაშემწე ა. გ. მასლოვსკი, თბომავლის კაპიტნის თანაშემწე ვ. ვ. ნოვიკოვი, გემის კაპიტანი ა. ა. სიმაკოვი და გემის კაპიტანი ბ. მ. ხირხასოვი.

მედლით „მამაცობისათვის" დაჯილდოებულია 7 კაცი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის" დაჯილდოებულია 13 კაცი. (საკდესი).

ტაჯიკეთის მშრომელთა საჩუქრები ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის მეზღვაურებს

ტაჯიკეთის მშრომელებმა ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის მეზღვაურებს—ლენინის ქალაქის გმირ დამცველებს საჩუქრების ეშელონი გაუგზავნეს. მათ გაჰგზავნეს 1.500-ზე მეტი სული საქონელი, 5.000 კილოგრამამდე ხორცი, 45 ტონა ხორბალი და ქერი, 50 ტონა კარტოფილი, 120 ტონა ბოსტნეული, 130 ტონა ხილი, დიდძალი კარაქი, კვერცხი, თაფლი და სხვა პროდუქტები. (საკდესი).

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

ზურგში გმირული შრომით დავეხმაროთ ფრონტს!

ვიბრძოლოთ მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციისათვის! ||| სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ უხვი სამხედრო მოსავალი!

დიდი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების პასუხად მთელ ჩვენს ქვეყანაში გაიშალა სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება, რომელმაც მძლავრი შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ზოგიერთ მასალას შეჯიბრებაში ჩაბმული საბჭოთა საქართველოს საწარმოების, მაღაროების, შახტების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის შესახებ. ეს მასალები გვიჩვენებენ მათი მუშაობის ერთი დღის—15 ივლისის შედეგებს, რა მიღწევები იქნა ამ დღეს მოპოვებული, როგორ შესრულდა გეგმები, რა ნაკლოვანებებს ჰქონდა ადგილი და რა უნდა გაკეთდეს ახალ საწარმოო გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

ეს მასალები ხელს შეუწყობენ გამოცდილების ურთიერთგაზიარებას საწარმოებსა, საამქროებსა, ცვლებსა, ბრიგადებსა და ცალკეულ მომუშავეთა შორის, ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებას, ომიანობის დროის სტახანოველთა რიგების ზრდას და საწარმოო გეგმების, საკავშირო სოცშეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებების გადაჭარბებით შესრულებას.

სტახანოვური ორკვირეულის პირველი დღე

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში

...კითხებზე. საამქროს წარჩინებულმა მუშამ, ათასოვანმა ამხ. ვ. ბეჟუაშვილმა ამ დღეს საამქროს პირველობა აიღო და ცვლის საწარმოო დავალება 625 პროცენტით შესრულა. კარგად იმუშავეს ამ დღეს ზეინკლებმა ს. მალაციძემ და ბერუაშვილმა, რომლებმაც დავალება 420 პროცენტით შესრულეს.

ხამგზავრო-სავაგონო საამქროში: სამუშაოზე გამოცხადდნენ ყველანი უკლებლივ. განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწიეს ამ დღეს ქარხნის საამქროების დიდმა უმეტესობამ 15 ივლისს გეგმები გადაჭარბებით შესრულა და საერთოდ ქარხანამ ამ დღეს ახალ საწარმოო აღმავლობას მიაღწია. ახლა ქარხნის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ამოცანაა — საბოლოოდ შეინარჩუნონ 15 ივლისს აღებული ტემპები და მიაღწიონ პირველობას სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

დ. ამირანიძე

კიროველების წარმატება

15 ივლისს თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში სრულ 8 საათზე ამუშავდნენ დაზგები. როგორც ყოველთვის, ამ დღესაც კიროველები დიდი საწარმოო აღმავლობით შეუდგნენ დავალებათა შესრულებას. ამ დღეს ქარხანაში დაგვიანებისა და გაცდენის არც ერთ შემთხვევას არ ჰქონია ადგილი.

მისამზადებელი საამქროს ახალგაზრდა ხარატი დ. მარკელოვი 15 ივლისს დიდი ენტუზიაზმით მუშაობდა. მას უქმად არც ერთი წუთი არ დაუკარგავს. 7 საათის განმავლობაში მარკელოვს დღიური დავალება 1.113 პროცენტით ჰქონდა შესრულებული.

ამწყობი საამქროს სტახანოველები ამხ. ი. ფირცხალავა და ე. ბენდიანაშვილი ამ დღეს მეტად რთულ და დიდმნიშვნელოვან დავალებას ასრულებდნენ. რამდენიმე დღის სამუშაო მათ 7 საათში 800 პროცენტით შესრულეს.

მექანიკური საამქროს ხარატი ამხ. გ. ჰიჰინაძე წინათ დავალებას ვერ ასრულებდა, მას შემდეგ, რაც საკავშირო სოცშეჯიბრებაში ჩაება, მან გამოასწორა ჩამორჩენა. 15 ივლისს ჰიჰინაძემ მეტად მძიმე სამუშაო 382 პროცენტით გაანაღდა, ხოლო მექანიკურმა საამქრომ (უფროსი ვ. ხორინი) დღიური დავალება 145 პროცენტით შესრულა.

საინსტრუმენტო საამქროში 15 ივლისს განსაკუთრებული შრომითი ენტუზიაზმი იგრძნობოდა. მრანდავი ა. ცერცვაძე, გამკრიალებელი ფ. სარიევი, მღარავი ს. ნაზაროვი და სხვები იბრძოდნენ საამქროს გარდამავალი დროშის მოპოვებისათვის. დღიური დავალება მათ დიდი გადაჭარბებით შესრულეს. სტახანოველმა ხარატმა პ. ზახაროვმა ამ დღეს ნორმა 370 პროცენტით შესრულა, და საამქროს გარდამავალი დროშა ამ დღეს მას მიაკუთვნეს.

აღნიშნული ქარხნის დირექტორი ამხ. ბ. სარიშვილი, პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. კაზაზიშვილი, ტექნიკური დირექტორი და მთავარი ინჟინერი ამხ. ე. სიხარულიძე სისტემატურად საამქროში არიან, საჭირო შემთხვევაში ისინი დროულად იღებენ ზომებს არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ქარხანა მთელი კოლექტივის თავდადებული შრომის შედეგად საკავშირო სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებს. ქარხანამ ივლისის პირველი ნახევრის გეგმა და ერთი დღის—15 ივლისის დავალება ყველა მაჩვენებლების მიხედვით დიდი გადაჭარბებით შესრულა.

ლ. ჩიტიშვილი

გეგმას ყველა უბანი და ცვლა უნდა ასრულებდეს

ტყიბული („კომუნისტის" კორ.). 15 ივლისს სტალინის სახელობის მაღარომ ქვანახშირის ამოღების თვიური გეგმა გადამეტებით შესრულა. განსაკუთრებით კარგად იმუშავა ჭიათურის მარგანტრესტის სტალინის სახელობის მაღაროს მეხუთე უბანთან შეჯიბრებაში ჩაბმულმა პახუმ ნანიკაშვილის უბანმა, რომელმაც დღიური გეგმა 125,3 პროცენტით შესრულა. უბანში გეგმა შესრულეს: პირველმა ცვლამ (უფროსი ა. კუბლაშვილი) —144 პროცენტით, მეორე ცვლამ ა. ბუბაშვილის ხელმძღვანელობით—149 პროცენტით, ხოლო მესამე ცვლამ—გ. ძოწენიძის ხელმძღვანელობით—143 პროცენტით. № 9 ქანობის პირველი ცვლა (ხელმძღვანელი კ. გაბრიაძე) გარღვევის წინაშე იდგა, რადგან ცუდად მუშაობდა ელექტრობურღი. ამასთან ერთად საჭირო იყო დამატებით ერთი ვაგონი. უბნის უფროსი ამხ. ნანიკაშვილი სასწრაფოდ დაეხმარა ცვლას ბურღის ამუშავებასა და ვაგონის შოვნაში. ამის შემდეგ ცვლამ გეგმა შესრულა 110 პროცენტით. მნგრეველმა დ. სუქნიძემ მონგრია და მტვირთავმა მ. სტუკალოვმა დატვირთა 19,8 ტონა ქვანახშირი, ნაცვლად 11,2 ტონისა.

დასავლეთის შახტში შესანიშნავად იმუშავეს მეორე და მესამე ცვლებმა ს. კუპატაძისა და რ. მელაშვილის ხელმძღვანელობით. კუპატაძის ცვლამ გეგმა შესრულა 133 პროცენტით, ხოლო მელაშვილის ცვლამ—160 პროცენტით.

ლენინის სახელობის მაღაროში გეგმა არ შეუსრულებიათ იმ უბნებსა და ცვლებს, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ნ. კობახიძე, ლ. ვაშაკიძე, ა. ტურძილაძე, ს. ბუცხრიკიძე, დ. კანდელაკი და სხვ. კობახიძის უბანში ორდენოსანმა ლ. ცქიფურიშვილმა ათეულობით ტონა ქვანახშირი მონგრია, მაგრამ ხელმძღვანელებმა ვერ უზრუნველჰყვეს მისი მთლიანად გამოზიდვა.

დ. საგელაშვილი

იძლევიან მეტსა და მაღალხარისხოვან ლითონს

ზესტაფონი („კომუნისტის" კორ.). ფეროშენადნობთა ქარხანა 15 ივლისს განსაკუთრებული ტემპებით მუშაობდა. ქარხანამ ამ დღის შესრულა ლითონის გამოდნობის გეგმა 123 ... ტალის ათვისებასთან ერთად დაწყებულია ელექტროღუმელების ინტენსიფიკაცია, რაც ღუმელების წარმადობას 10-15 პროცენტით ზრდის.

...ბის მიხედვით. მოლიბდენის საამქრომ 15 ივლისის საწარმოო დავალება 197 პროცენტით შესრულა, ხოლო მასთან სოცშეჯიბრებაში ჩაბმულმა მარგანეცის საამქრომ—185 პროცენტით.

ქარხნის ცხოვრებაში 15 ივლისი კიდევ იმით არის შესანიშნავი, რომ ამ დღეს წინასწარ ჩატარებული ცდების შედეგად ათვისებულ იქნა ელექტროღუმელების რთული დეტალის—საკონტაქტო კაბელის დამზადება, რაც დღემდე საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან შემოჰქონდათ.

საძნობ საამქროში ამ რთული საჭირო დე... ხევარში ლითონის გამოდნობის გეგმა 123 პროცენტით შესრულა, თვითღირებულება შემცირა 8,95 პროცენტით, ხოლო ენერგიის ხარჯვა—6,5 პროცენტით.

ივლისის პირველ ნახევარში უკეთესი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ბრიგადულ გარდამავალი დროშა გადაეცა ორდენოსან ვ. წყალაძის ბრიგადას. მოწინავენი არიან მდნობლების ჩიტორელიძისა და ჰიჰინაძის ბრიგადები. მექანიკური საამქროს სტახანოველმა კომუნისტმა ალავიძემ ივლისის პირველი ნახევრის გეგმა 286 პროცენტით შესრულა.

გ. ნასარიძე

როგორ მუშაობდა ავტოსარემონტო ქარხანა

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მუშათა კოლექტივმა 15 ივლისი ახალი საწარმოო აღმავლობით აღნიშნა. როგორც ყოველთვის, ეს დღე ქარხანაში მომზადებულად დაიწყო. ქარხნის დირექტორმა ამხ. ლ. მეტრეველმა და პარტბიუროს მდივანმა ამხ. ნ. დოქსოპულომ სამუშაოს დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე ჩამოიარეს საამქროები, დაათვალიერეს სამუშაო დაზგები და ადგილობრივ შეამოწმეს თითოეულ მუშის მზადყოფნა სამუშაოს დაწყებისათვის. ოსტატებმა და ბრიგადირებმა მუშებს დროზე გაუნაწილეს სამუშაო, აუხსნეს ზოგიერთი რთული დეტალების ნახაზი და დამუშავების ხერხები. სრულ 8 საათზე მუშაობა დაიწყო.

განსაკუთრებით ისახელა თავი ელექტროტექნიკური საამქროს კომკავშირულ-ფრონტულმა უბანმა ზეინკალ მ. ჯლიხაძის ხელმძღვანელობით. უბანმა მასზე დაკისრებული დღიური დავალება 432 პროცენტით შესრულა. მჭედელ ფ. მაბურნის ბრიგადამ ამ დღის გეგმა 534 პროცენტით შესრულა, ... კანონიშვილის ბრიგადამ—300 პროცენტით და სხვ.

ქარხანაში პარტიული და კომკავშირელი ამხანაგები ყოველთვის მოწინავენი არიან. მუშაობის შედეგების შეჯამების შემდეგ საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მერაბიშვილმა ქარხნის საპატიო დაფას ორი მოწინავე მუშის—პარტიის წევრის ვასილ ხაცევიჩისა და კომკავშირელ გიორგი ხიზანაშვილის გვარები მიუმატა. ამხ. ვ. ხაცევიჩი მექანიკური საამქროს სტახანოველი ხარატია. ის ყოველდღიურად 4-5 ნორმას აჭარბებდა, ხოლო 15 ივლისს საწარმოო დავალება 1.149 პროცენტით შესრულა. იგი ამ მაჩვენებლით თამამად ჩადგა ქარხნის ათასოვანთა რიგებში. ამხ. გ. ხიზანაშვილმა, რომელმაც ახლახან შეისწავლა საზეინკლო საქმე, ამ დღეს დღიური გეგმა 603 პროცენტით შესრულა. მან, გარდა სხვადასხვა წვრილი სამუშაოებისა, მანქანის 40 დოლის ნაცვლად 215 დოლი დაამზადა.

ი. შორომელი

ქარხნის ერთი სამუშაო დღე

...

ჭიათურელი მაღაროელების საწარმოო აღმავლობა

ჭიათურა („კომუნისტის" კორ.). ჭიათურელი მაღაროელები გმირულად ებრძვიან მარგანეცის მაგარ ქანებს, მიწის წიაღიდან გამოაქვთ მაღალხარისხოვანი მარგანეცი. ...

პ. მიოკაძე

ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში

მახარაძე („კომუნისტის" კორ.). კიროვის სახელობის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი, რომელმაც გასულ წელს ნაყოფიერი მუშაობისათვის გარდამავალი ...

დ. ლომაძე

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები. (მარცხნიდან მარჯვნივ) —ზევითა რიგში: სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნიდან—ე. ბენდიანაშვილი, ა. მარჯანიძე, ვ. ბეჟუაშვილი; კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნიდან — დ. მარკელოვი, გ. ჰიჰინაძე, მეორე რიგში: კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნიდან—ი. ფირცხალავა; ავტოსარემონტო ქარხნიდან—გ. ხიზანაშვილი, ვ. ხაცევიჩი, 26 კომისრის სახელობის ქარხნიდან—ლ. ბახტაძე, ა. ხოჯაევი; ქვევითა რიგში: 26 კომისრის სახელობის ქარხნიდან—ა. არეშოვი; მახარაძის რაიონის კიროვის სახელობის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე ადამიანები: პაშა პაკატელოვა, ბრონია როშჩინა, აგრონომი მოსე ფირცხალეიშვილი, ანასტასია მუზიკა. ფოტო რ. აკოფოვისა და ვ. გინზბურგისა.

მეტი ყურადღება შრომის ორგანიზაციას

ტყვარჩელი („კომუნისტის" კორ.). 15 ივლისი ტყვარჩელის შახტის მოწინავე უბნებსა და ლავებში ახალი საწარმოო აღმავლობით აღინიშნა. ამ დღეს განსაკუთრებით წარმატებით იმუშავეს პირველი, მესამე, მეოთხე და მეშვიდე უბნების მეშახტეებმა, რომლებმაც ქვანახშირის ამოღების დავალებათა გადამეტებას მიაღწიეს. პირველი უბნის სკრებნევის მნგრეველთა ბრიგადამ (უბნის უფროსი სიგუა) პირველ ცვლაში 12 ტონით გადააჭარბა დავალებას, მეორე ცვლაში ამავე უბანში მომუშავე ჩერკაშინის მნგრეველთა ბრიგადამ 106 პროცენტით გაანაღდა ცვლის დავალება. მესამე უბანში მომუშავე კობლიაკოვის მნგრეველთა ბრიგადამ (უბნის უფროსი ჩქარეული) პირველ ცვლაში 100 პროცენტით შესრულა ნორმა, ხოლო მეორე ცვლაში მომუშავე ასტახოვის მნგრეველთა ბრიგადამ—123 პროცენტით.

მარტო მეორე ცვლაში შახტის პირველმა, მესამე, მეოთხე უბნებმა გეგმის გადამეტებით ამოიღეს 32 ტონა ქვანახშირი. სკრებნევის, სემენიხინის და იუშჩენკოს მნგრეველთა ბრიგადებმა ივლისის გასული 12 დღის განმავლობაში შესძლეს მუშაობაში განუწყვეტელი წარმატების მიღწევა-შენარჩუნება. სკრებნევის ბრიგადამ 192 პროცენტით გაანაღდა 12 დღის ნორმა, სემენიხინის ბრიგადამ 144 პროცენტით, ხოლო იუშჩენკოს ბრიგადამ — 156 ...

...ნობოდა პირველსა და მეოთხე უბნებში. მეოთხე უბანმა თვალსაჩინო გადამეტებას მიაღწია ივლისის პირველ დღეებში, მაგრამ ეს წარმატება ვერ იქნა შენარჩუნებული ყოველდღიურად. ამ უბანში ჯერ კიდევ იგრძნობა შრომის სუსტი ორგანიზაცია.

მერვე უბანს (უფროსი ახალაია) 15 ივლისს პირველ ცვლაში სრულებით არ მოუცია ქვანახშირი. უბანში გაფუჭდა მოტორი, რომლის შეცვლასაც მთელი 8 საათი მოანდომეს. ამის შედეგად უბანმა, მოსამზადებელ სამუშაოთა დავალების შეუსრულებლობასთან ერთად, დაკარგა 50 ტონა ქვანახშირი. ეს ნაკლი რომ თავიდან აეცილებინათ, მთელი შახტა პირველ ცვლაში 25 ტონით გადააჭარბებდა ცვლის გეგმას.

მესამე უბანში, მეორე ცვლაში, გადაიწვა ელექტრო-მავთული, რომლის აღდგენისათვის საჭირო იყო 3-4 წუთი, ფაქტიურად ამ საქმეს 2 საათზე მეტი დრო მოანდომეს. განსაკუთრებით დეფექტიური გამოდგა მესამე ცვლაში მუშაობა. ამ ცვლაში ამოღებული დარჩა 90 ტონა ქვანახშირი, რომელიც ლავებში მონგრეული იყო, მაგრამ იმის გამო, რომ ცენტრალურ ხაზზე ელექტრომავალი ძაცდა გზას, მონგრეული ნახშირი ვერ გამოიტანეს.

შახტის ხელმძღვანელობამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მექანიზმების ზუსტ მუშაობას, შრომის ორგანიზაციას, მოწინავეთა ...

ბ. მეფისაშვილი

რა მოიტანა ერთი შრომის დღის შედეგებმა

ზუგდიდი („კომუნისტის" კორ.). ...

ბ. ბოჭორია

სტახანოვური შრომით ეხმარებიან წითელ არმიას

გორი („კომუნისტის" კორ.). 14 ივლისს, როცა სამუშაო დღე გათავდა, სვენეთის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის" გამგეობის თავმჯდომარის სტ. ბალდოშვილმა ბრიგადართა და რგოლის ხელმძღვანელთა მოკლე საწარმოო თათბირი ჩაატარა. თავმჯდომარემ გააცნო ბრიგადირებს დღის მუშაობის შედეგები, მიუთითა ცალკეულ ნაკლოვანებებზე და თითოეულ ბრიგადასა და რგოლს დაუსახა მორიგი სამუშაო დღის—15 ივლისის მუშაობის კონკრეტული გეგმა.

...

...ფრთოვანებით შეხვდნენ პარტიის და მთავრობის აღნიშნულ დადგენილებას.

შესვენების შემდეგ კოლმეურნეებმა კვლავ ენერგიულად განაგრძეს მუშაობა. სამუშაო დღემ ნაყოფიერად ჩაიარა. საღამოს კოლმეურნეობის მოანგარიშემ და აღმრიცხველებმა დააჯამეს მთელი დღის შრომის შედეგები. ამ დღეს ყველა კოლმეურნემ მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია. სამუშაოზე გამოსული 310 კოლმეურნიდან დღიური ნორმა 200 და მეტი პროცენტით შესრულა 145 კოლმეურნემ. დანარჩენებმა კი დღიურ ნორმებს მეტ-ნაკლებად გადააჭარბეს. სულ ამ დღეს მოსავალი ხელით აღებულ იქნა 38,5 ჰექტარზე, ფოცხვა ჩატარდა 45 ჰექტარზე, სანეულოდ მოხნეს 3,7 ჰექტარი, კოლმეურნე ქალებმა შეკრის ქარხალი გათოხნეს 2 ჰექტარზე, სიმინდი 2 ჰექტარზე; მოზარდებმა თავთავები 10 ჰექტარზე აკრიფეს.

...როლა.

მთელ დღეს ნაყოფიერად მუშაობდნენ მოსავლის აღებაზე კომბაინერი ბესო ბაღდასაროვი და მეშტურვალე ფატმან ბაღდასაროვი. მამაშვილმა კომბაინ „კომუნარით" მოსავლის აღების დღიურ ნორმას დიდად გადააჭარბეს.

კოლმეურნეობამ 15 ივლისს პირველი განაღლეწი 30 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ხორბალი სახელმწიფოს ჩააბარა.

შ. ჩუბინიძე

ერთი დღე ავჭალის კოლმეურნეობაში

თბილისის რაიონის ავჭალის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში 15 ივლისს სამუშაო დღე გათენებისთანავე დაიწყო. სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად კოლმეურნეებმა ი. ბეკურაშვილმა, ქ. ვარდანაშვილმა, ვ. ამირანაშვილმა და ი. ივანიშვილმა 5½ საათიდან დაიწყეს წინადღით გაწმენდილი 4 ტონა პურისა და ქერის ტომრებში ჩაყრა და აწონა და დილის 7-8 საათისათვის უკვე გაგზავნეს „ზაგოტზერნოს" ბაზაში. კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. თ. ვარდანაშვილის განკარგულებით მინდვრებიდან მოსავლის ურმებით გადმოსაზიდად დილაადრიან წავიდნენ კოლმეურნეები, ხოლო პურისა და ქერის ასაკრეფად, ჩალის შესაგროვებლად და სხვა სამუშაოებზე კოლმეურნეებთან ერთად გაიგზავნენ ავჭალის საშუალო სკოლის მოწაფეებიც ეთერი ფარცხალაძე, მერი ბარამიძე, ქეთო სუხიშვილი, ეთერი აბაზოვი, კლარა წერეთელი და სხვები.

15 ივლისს მარტო მეძროხეობის ფერმიდან კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 600 ლიტრი რძე, მეფუტკრეობის ფერმის 10 ოჯახზე მიღებულ იქნა 15 ფუთი თაფლი, ბაღბოსტნებში აიღეს და სახელმწიფოს ჩააბარეს (ნაწილი საკოლმეურნეო ბაზარზე გაჰყიდეს) 2 ტონა კიტრი, სუფრის ჭარხალი, პამიდორი და სხვ., ქერის მოსავალი ხელით აღებულ იქნა 10-მდე ჰექტარზე, ხოლო კომბაინით (კომბაინერი გ. თინაშვილი)—ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა 17 ჰექტარზე. 12-მდე ჰექტარზე გაითოხნა სიმინდის, მზესუმზირას და ჭარხლის ნათესები. 8 ჰექტარზე ჩატარდა პომიდორის თოხნა, ბეჭრა, 3 ჰექტარზე შეწამლულ და გაფურჩქნილ იქნა ვაზი. გ. ბერიტაშვილის სატრაქტორო ბრიგადამ 4 ტრაქტორით, ნაცვლად 6 ჰექტარისა, მოხნა 8 ჰექტარი ანეული, კოლმეურნეებმა ფართობებიდან გამოზიდეს 5 ტონა თივა, 20 ურემი ქერი, სამჭედლოში შეკეთდა ტრიერი და ურმის 12 თვალი, წისქვილში დაიფქვა 35 ფუთი ქერი, მეცხოველეობის ყველა ფერმას გაუკეთდა დეზინფექცია, შეკეთდა და გასუფთავდა საბძელები.

15 ივლისს სტახანოვური მუშაობით მინდვრებში განსაკუთრებით ისახელეს თავი არჩილ და პეტრე ვახტანგაშვილებმა, ვასო მაჩაბელმა, თამარ მელაძემ, ოლა ბეკურაშვილმა, თამარ ფილაურმა, ელენე ურუშაძე-ვილმა, არჩილ ზაზაშვილმა, ბაღ-ბოსტნებში: ევა თეთრაძემ, სირანა ჩახიძემ, ოლა ლომიძემ, ქეთო ღვინიაშვილმა, ვენახში—ვასა ლომიშვილმა და სხვ.

15 ივლისისათვის კოლმეურნეობას უკვე აღებული ჰქონდა პურისა და ქერის მოსავლის 80 პროცენტი, თივის მოსავალი—თითქმის ხუთჯერ მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა, დამთავრდა სათოხნი კულტურების თოხნა, შესრულდა სახელმწიფოსათვის ყველისა და თივის ჩაბარების წლიური გეგმები. მთავრდება რძის, მატყლის, ხორცის და სხვათა ჩაბარება.

მაგრამ ამ წარმატებებთან ერთად აღსანიშნავია ნაკლიც. 15 ივლისს არასაპატიო მიზეზით სამუშაო გააცდინა 25 კოლმეურნემ. მემინდვრეობის მარტო გ. ლომიშვილის ბრიგადაში სამუშაოზე დაიგვიანა 8 კოლმეურნემ. მებოსტნეობის პირველ ბრიგადაში—5 კოლმეურნემ. ტრაქტორისტებმა ე. ოსიაშვილმა და სამუხაიამ უხარისხოდ მოხნეს 0,2 ჰექტარი, კოლმეურნეობის გამგეობის უყურადღებობის შედეგად ერთი საათის დაგვიანებით გაიყვანეს სამუშაოზე მოწაფეები, ხოლო ზოგიერთი კოლმეურნე სამუშაოდან საღამოს 7 საათზე წავიდა, როდესაც მათ შეეძლოთ დაღამებამდე ემუშავათ.

ტრ. თოდრაძე

წნორის მტს-მა უფრო მაღალნაყოფიერად უნდა იმუშაოს

სიღნაღი („კომუნისტის" კორ.). წნორის მტს-მა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი უნდა აიღოს 6.266 ჰექტარზე. მოსავლის აღება თავის დროზე დაიწყო. მოსავლის აღების საქმეში თავი ისახელა კომბაინერმა შ. ნაცვლიშვილმა. მან გეგმის მიხედვით მოსავალი უნდა აიღოს 289 ჰექტარზე, ფაქტიურად 9 სამუშაო დღეში აღებული აქვს 180 ჰექტარი. კომბაინერმა ყაჭარაშვილმა წნორის კოლმეურნეობა „გლეხის სინათლეში" 14 სამუშაო დღეში მოსავალი აიღო 170 ჰექტარზე, კომბაინერმა ვარაზანიშვილმა კი 242 ჰექტარიდან 170 ჰექტარზე. კარგად მუშაობს მოსავლის აღებაზე კომბაინერი მაკაევი ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში. მან 15 სამუშაო დღეში მოსავალი აიღო 190 ჰექტარზე.

15 ივლისს აღნიშნული კომბაინერები შეუფერხებლად იღებდნენ მოსავალს. კარგად იმუშავა ამ დღეს აგრეთვე ახალგაზრდა კომბაინერმა გ. მოსულიშვილმა. მოსავალი მას უკვე 102 ჰექტარზე აქვს აღებული, ყოველდღიურ დავალებას წარმატებით ასრულებს.

ზოგიერთი კომბაინერი მაღალნაყოფიერად ვერ მუშაობს. 15 ივლისს 29 კომბაინიდან მხოლოდ 9 მუშაობდა წესიერად. ამის შედეგია, რომ გეგმით გათვალისწინებული 6.266 ჰექტარიდან მტს-ს მოსავალი აღებული აქვს მხოლოდ 2.600 ჰექტარზე. ჩამორჩა მოსავლის აღებაში კომბაინერი ი. პავლიაშვილი. იგი 14 და 15 ივლისს არ მუშაობდა. კომბაინერი ს. ტოგონიძე მოსავალს იღებს 35 დღეა და აღებული აქვს მხოლოდ 80 ჰექტარი, ისიც უხარისხოდ, ოთხჯერ გადასწვა საკისარები. 15 ივლისს მან ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15 ჰექტარისა მოსავალი აიღო 3 ჰექტარზე, კომბაინერ შ. მათეშვილს 26 სამუშაო დღეში მოსავალი აღებული აქვს 80 ჰექტარზე. ხშირად უზიანდება კომბაინი, აქვს საწვავის საგრძნობი გადახარჯვა, 15 ივლისს სამი საათი იმუშავა, ხოლო დანარჩენი დრო კომბაინის რემონტს მოანდომა.

მტს-ის კომბაინერებს შორის სუსტად არის გაშლილი პარტ-მასობრივი მუშაობა, ბრიგადებში გაზეთები არ გამოდის. 15 ივლისის მუშაობის შედეგებიდან მტს-მა და მტს-ის პოლიტგანყოფილებამ საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ.

ი. სიმონიშვილი

კოლმეურნეთა დახმარება ფრონტისადმი

თელავი („კომუნისტის" კორ.). ვარდისუბნის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობაში ივლისში უკეთ მუშაობენ, ვიდრე ივნისში. აქ მეოთხედ ამთავრებენ 45 ჰექტარი ვენახის შეწამვლას, დროზე აიღეს ქერის მოსავალი, ხარისხიანად ამუშავებენ სიმინდის ნათესებს. კოლმეურნეობამ უკვე შესრულა სახელმწიფოსათვის ყველის, რძის, კვერცხისა და ხორცის ჩაბარების მესამე კვარტალის გეგმები. შრომა მოწესრიგებულია, სოციალისტური შეჯიბრება გაშლილია, ნორმებს გადამეტებით ასრულებენ. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ 15 ივლისის შრომის დღის შედეგებს. ვენახის შეწამვლის დღიური გეგმა კოლმეურნე ფირუზა თუშიშვილმა 213 პროცენტით შესრულა, სანდრო ონიკაშვილმა—218 პროცენტით, ნიკო ჯაშიაშვილმა—305-ით. მაღალ თავი ისახელა მეორე ბრიგადამ, რომლის ხელმძღვანელია სოსო ონიკაშვილი.

კოლმეურნეობაში იბრძვიან იმისათვის, რომ 227 ჰექტარზე 10 სამუშაო დღეში აიღონ მოსავალი. 15 ივლისს მკის დღიური დავალება 141 პროცენტით იქნა შესრულებული.

სიკო და მიხო თუშიშვილებმა პური 1256 კვადრატულ მეტრზე მომკეს თითოეულმა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 666 კვადრატული მეტრისა. ნინო და თამარ ჯაშიაშვილებმა და სოხაშვილმა სიმინდის თოხნის გეგმა 151 პროცენტით შესრულეს. მეხუთე რგოლის წევრებმა 880 კვადრატული მეტრი გათოხნეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 500 კვადრატული მეტრისა. სტახანოველმა ნიკო თუშიშვილმა 900 კვ. მეტრი სიმინდი გათოხნა, ანიკო კომიაშვილმა და კატო ფარემიშვილმა—800 კვადრატული მეტრი თითოეულმა. სიმინდის თოხნის დღიური გეგმა გადამეტებით შესრულეს ნატო კობიაშვილმა, რომელსაც ორი ვაჟი ფრონტზე ჰყავს, და წითელარმიელის დედამ 75 წლის მოხუცმა სოფო გლურჯიძემ.

კოლმეურნეები რომ სამუშაოს არ მოცდენოდნენ, ცხელი საუზმე მინდვრად დაამზადეს. შესვენებისას აგიტატორებმა ელისო ბარდანაშვილმა, მარო ზერაშვილმა, ქეთო და ნინო ჯაშიაშვილებმა კოლმეურნეებს მთი მაერვე გამოშვებული სავლე გაზეთები გააცნეს.

კოლმეურნეობაში ამ დღეს მომკეს პური 8 ჰექტარზე, გათოხნეს სიმინდი 5 ჰექტარზე, შეწამლეს 2 ჰექტარი ვენახი, დადგეს თივის 6 ზვინი.

ზ. ცხადაძე

კოლმეურნეები აღიდებენ შრომის ნაყოფიერებას

გურჯაანი („კომუნისტის" კორ.). სოფ. კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ...

...ტონით გადააჭარბა. განსაკუთრებით ენერგიულად იმუშავეს კატუშა ჯიქურაშვილმა, ...

შ. მადაღაშვილი

საბჭოთა კავშირში

მზრუნველობა ფრონტელთა ოჯახებისათვის

სოციალური უზრუნველყოფის სოოლქო და საქალაქო განყოფილებანი, სახელმწიფო დახმარების გარდა, დამატებითი დახმარებას უწევენ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს. მაგალითად, მოსკოვის ოლქში გაცემულია ერთდროული დახმარება დაახლოებით მილიონნახევარი მანეთის რაოდენობით. გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ ტულის ოლქის რაიონებში ფრონტელთა 6 ათასმა ბავშვმა მიიღო ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და პროდუქტები. კალინინის ოლქში 1.202 ოჯახს 500 ცენტნერზე მეტი პური მიეცა. უდმურტეთის ასს რესპუბლიკაში 13.500 ბავშვი ბაგებსა და საბავშვო ბაღებში მოათავსეს. მოლოტოვის ოლქის ელოვის რაიონში საკოლმეურნეო ურთიერთდამხმარე სალაროს სახსრებით ინახავენ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მოხუც წევრთათვის მოწყობილ სახლს. (საკდესი).

ქალაქების დახმარება საკოლმეურნეო სოფელს

ქალაქ ჩკალოვის სამრეწველო საწარმოებმა დიდი დახმარება გაუწიეს სოფელს საგაზაფხულო თესვაში. მათ დაამზადეს სათადარიგო ნაწილები, სოფლებში გაგზავნეს 230 კვალიფიციური მუშა-ზეინკლები, ხარატები, მჭედლები, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებისა და სახელოსნო სასწავლებლების 136 მოსწავლე.

მარგვლასა და თიბვაზე განზრახულია ქალაქ ჩკალოვიდან გაიგზავნოს 5.600 კაცი. მოსავლის ასაღები მანქანების შესაკეთებლად გამოყოფილი იქნება კვალიფიციური მუშებისაგან შემდგარი 50 ბრიგადა. ქალაქის 500 კომუნისტი კომბაინის აგრეგატებზე იმუშავებს. (საკდესი).

სოციალისტური შეჯიბრების შედეგები ივნისში

(თათბირი საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატში)

15 ივლისს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატში შესდგა თათბირი, რომელზეც მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. გ. ჯაბუამ თავის მოხსენებაში შეაჯამა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები ივნისში. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თავდაცვის სახალხო კომისრის —ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების საფუძველზე გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ყველა საწარმო. შეჯიბრების შედეგად მთელმა რიგმა საწარმოებმა ივნისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. ასეთებია მეორე სამკერვალო ფაბრიკა, ტყავის ქარხანა № 2, ფეხსაცმლის, მესამე სამკერვალო, ქეჩის, პირველი სამკერვალო, საგალანტერიო ფაბრიკა და სხვ. მაგრამ არიან ჩამორჩენილი საწარმოებიც, რომლებმაც ივნისის გეგმა ვერ შეასრულეს. ასეთებია: ტყავის ქარხანა № 1, ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1, ფეხსაცმლის ფაბრიკა № 2, მეექვსე სამკერვალო ფაბრიკა და სხვ.

გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად აიხსნება ფაბრიკების ხელმძღვანელობისა და კოლექტივის ცუდი მუშაობით. მაგალითად, სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკას გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყველა შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ ფაბრიკაში შრომის დისციპლინა სუსტია, მასალებით ფაბრიკის მომარაგების საქმე მოუწესრიგებელია. ყველაფერი ეს იწვევს ჩამორჩენას.

ივნისის შედეგების შეჯამებისას გამოირკვა, რომ საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს შორის ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვს მეორე სამკერვალო ფაბრიკას, რომლის დირექტორია ამხ. ს. ვაშაძე, ტექნიკური ხელმძღვანელი ამხ. ჩადრანოვი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ფირუმოვა და ფაბკომის თავმჯდომარე ამხ. დოლაშვილი. საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრის ბრძანებით გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა მეორე სამკერვალო ფაბრიკას, რომელმაც შეასრულა აღებული ვალდებულებები როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

იმავე ბრძანებით აღინიშნა, რომ უნაგირების ფაბრიკას და ტყავის მეორე ქარხანას აგრეთვე კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ ივნისში.

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ჩადრანოვი, თევდორაძე (ტყავის მეორე ქარხნის დირექტორი), ოვრუცკი (ტყავის პირველი ქარხანა), ფირუმოვა, არუთინოვი (სამოდელო ფაბრიკა), ათაბეგოვა (საგალანტერიო ფაბრიკა), პარტოსიანი (ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკა), გაბედავა (ფეხსაცმლის სამკერვალო მრეწველობის მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე) და საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ბ. ლელინი.

ამხ. ბ. ლელინმა ანალიზი გაუკეთა მსუბუქი მრეწველობის საწარმოების მუშაობას ივნისში და აღნიშნა, რომ მთელ რიგ საწარმოებს ახასიათებს იერიშობანა და გრაფიკის დარღვევა, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

თათბირის მუშაობა შეაჯამა სახალხო კომისარმა ამხ. გ. ჯაბუამ, რომელმაც მოუწოდა საწარმოების ხელმძღვანელებს გააძლიერონ ივლისში მუშაობა, გადაიღონ მოწინავეთა გამოცდილება და იბრძოლონ გარდამავალი წითელი დროშისათვის. მისცენ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს პროდუქცია გეგმის გადამეტებით.

ახალი წიგნები

„ერეკლე მეფის გმირული სახე ხალხურ შემოქმედებაში"

საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოების გამომცემლობამ ცალკე წიგნად გამოუშვა სოლომონ ცაიშვილის მიერ შერჩეული და სხვადასხვა ქართული გამოცემებიდან ამოკრეფილი ხალხური ლექსები, აგრეთვე პროზაული ნაწყვეტები, რომლებიც ერეკლე მეფის გმირულ სახეს გვიხატავენ. წიგნს დართული აქვს მისი შემდგენლის წინასიტყვაობა, სარჩევი და წყაროების მაჩვენებელი.

მეფე და სარდალი—ერეკლე მეორე ქართულ ხალხურ შემოქმედებაში წარმოდგენილია, როგორც დიდი სტრატეგი, უნიჭიერესი პოლიტიკოსი, უშიშარი რაინდი, რომელიც დაჯილდოებული იყო უჩვეულო ფიზიკური ძალღონით.

„ჩვენი ბატონი ერეკლე
ერთი პატარა კაცია,
ჯაჭვის პერანგი ჩაიცვეს,
გაჰკრა ხელი და გახია".

ასე წარმოგვიდგენს ახალგაზრდა ერეკლეს ხალხური ლექსი. პატარა კახის გონებაგამჭრიახობას გვიხატავს შემდეგი პროზაული ნაწყვეტი: ცხარე ომში მეფემ დაინახა მეომარი, რომელიც ომიდან გამოსულიყო.

„მეფემ შესძახა:

— რას უდგეხარ და არა ომობო?

— ბატონო, ხმალი გადამიტყდა და დამიმოკლდაო,—უპასუხა მეომარმა.

— ფეხს წინ წაადგამდი და დაგრძელდებოდაო,—უბრძანა მეფემ და ომში შეერია".

ერეკლეს „მოელვარე ხმლის", მისი ადამიანური უბრალოების, ხალხთან მჭიდრო კავშირის, მისადმი სიყვარულის, სამშობლოსადმი ერთგულებისა და თავდადების, მრავალრიცხოვანი საბრძოლო ეპიზოდების სადა მხატვრულ აღწერას ნახავს მკითხველი ამ წიგნში. პატარა კახის გმირულ ბრძოლებზე მოგვითხრობენ ლექსები „ერეკლე და აზატხანი", „რაჯაბ ბელადი", „აბდულა და ერეკლე", „ასპინძის ომი" და მრავალი სხვა ხალხური ლექსი. ღრმად მოხუცებული მეფე, რომელიც 1798 წელს გარდაიცვალა, მთელმა საქართველომ დაიტირა. ხალხური ლექსი ასე გადმოგვცემს თუშთა, ფშავთა და ხევსურთა გლოვას ერეკლეს გარდაცვალების გამო:

„აღსდეგ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს,
მტერთა ისმიან ხმანია,
გრძლად ძილის ჩვეულ როდი ხარ,
მოგვიხმე უენჯნი ყმანია,
არ გნახოს მტერმა ძაბუნად,
ვესდევნოთ, ვაკვეცნეთ თმანია".

სამშობლოს დაცვას, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას ერეკლემ შესწირა მთელი თავისი ხანგრძლივი მშფოთვარე სიცოცხლე და დიდი ნიჭი. ხალხმაც უკვდავი ძეგლი დაუდგა თავის გმირს, სამშობლოს მტრების წინააღმდეგ უშიშარ მებრძოლს, დიდ სარდალსა და სახელოვან რაინდს.

„დიმიტრი თავდადებული"

საინტერესო ნარკვევი გამოაქვეყნა სერგი მაკალათიამ. გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა გამოსცა მისი „დიმიტრი თავდადებული". წიგნი მოგვითხრობს საქართველოს შორეული წარსულის შესახებ, როცა ჩინგიზხანის ურდოები აღმოსავლეთის უზარმაზარ ტერიტორიას ჰფლობდნენ.

1220 და 1221 წლებში ჩინგიზ-ხანის ურდოები ორჯერ შემოესივნენ საქართველოს, აახრეს მთელი აღმოსავლეთ საქართველო, ხოლო 1235 წელს აიღეს თბილისი. დასავლეთ საქართველოს აღება კი მონღოლებმა ვერ შესძლეს. მეცამეტე საუკუნეში დაიწყო საქართველოს მძიმე ცხოვრება მონღოლთა ბატონობის უღელქვეშ. ლაშა გიორგის შვილის ულუ დავით V მეფობა აღსავსე იყო მრავალი განსაცდელით. მისი სიკვდილის შემდეგ ქართლის სამეფო ტახტზე 1270 წელს ადის დავითის შვილი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა დიმიტრი—მეფე დიმიტრი II წოდებული. შვილმა მამის ხაზი აიღო. მან განიზრახა ქვეყნის საშინაო და პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებისათვის მიეღწია მეზობელ სახელმწიფოებთან მჭიდრო კავშირის დამყარებით. ამ მიზნით თავისი ქალიშვილი რუსუდანი ცოლად მისცა თალათურ ყაენის მთავარ ნოინს (მთავარს) ბუღას. დიმიტრი ლამაზი, ახოვანი, უშიშარი მებრძოლი, გულადი და მოხერხებული სარდალი იყო. მას არაერთხელ სახელოვნად უბრძოლია შორეულ ლაშქრობებში, განსაკუთრებით ეგვიპტეში. თალათურის შემდეგ ყაენად დასვეს აბაღა ყაენის შვილი არღუნი. პირველ ხანებში დიმიტრი სარგებლობდა არღუნის ნდობით, ვინაიდან არღუნმა ყოველმხრივი ნდობა გამოუცხადა მის სიძეს ბუღას. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ არღუნმა შეთქმულების მონაწილე ბუღა ნათესავებიანად სიკვდილით დასაჯა. დიმიტრის წინაშე აშკარად წამოიჭრა უდიდესი საფრთხე. მალე არღუნ ყაენმა თავისთან დაიბარა დიმიტრი. ეს უკვე სიკვდილს ნიშნავდა. დიმიტრიმ სათათბიროდ მოიწვია სახელმწიფო დარბაზი, რომელმაც ურჩია მას მთიულეთში დამალულიყო და იქ გამაგრებულიყო. მაგრამ მაშინ ქვეყანას აოხრება არ ასცდებოდა. დიმიტრიმ მტკიცედ გადასწყვიტა წასულიყო ყაენთან და თავი მსხვერპლად შეეწირა სამშობლოსათვის, თავისი ხალხისათვის. „უკეთუ მე მომკლან, ვჰგონებ ქვეყანაი უვნებლად დარჩეს",—უთქვამს დიმიტრის. მაგრამ მას დარბაზმა მაინც სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. ამ მომენტს შესანიშნავად აგვიწერს პოეტი ილია ჭავჭავაძე თავის პოემაში—„დიმიტრი თავდადებული":

„თუ სიკვდილი სახელად გაქვთ
მაგდენს ჩემთვის—ერთისათვის,
მაშ რად მიშლით თავდადებას
მე ერთს—მთელის ერისათვის!"

დიმიტრი მივიდა ყაენთან. 1289 წლის 12 მარტს მას თავი მოჰკვეთეს, ასე შეეწირა დიმიტრი თავის სამშობლოს. ამიტომ მას ხალხმა დიმიტრი თავდადებული უწოდა. ასეთ ადამიანებზე სთქვა დიდმა პოეტმა:

„არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწირის დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია".

საომარი ოპერაციები ეგვიპტეში

ლონდონი, 16 ივლისი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ინგლისის ჯარებმა, რომელთაც გუშინ დილას წინ წაიწიეს ცენტრალურ სექტორში, ხელთ იგდეს ტყვეები.

ნაშუადღევს მოწინაამდეგემ კონტრიერიში მიიტანა ტანკების დახმარებით, მაგრამ ეს კონტრიერიში მოგერიებულ იქნა.

მოწინააღმდეგის ჯარებს მთელი დღის განმავლობაში გაძლიერებით უშენდა არტილერია. მოსპობილია მტრის ტანკების ერთგვარი რაოდენობა.

ავიაციამ სასტიკად დაბომბა რომმელის ჯარების განლაგების რაიონი და ტობრუკისა და ბენგაზის ნავსადგურები.

ინგლისის ხომალდების წარმატებითი ოპერაციები ლა-მანშში

ლონდონი, 16 ივლისი (საკდესი). საზღვაო სამინისტროს ცნობით, გუშინ დილით ინგლისის მსუბუქი სადარაჯო ხომალდები თავს დაესხნენ ლა-მანშში მოწინააღმდეგის გემების ქარავანს; ქარავანი შესდგებოდა დატვირთული ტანკებისაგან, რომელსაც 2 ძლიერ შეიარაღებული ტრალერი და სულ ცოტა 3 სატორპედო კატერი იცავდა.

ორივე ტრალერი სერიოზულად დაზიანდა, ტანკერი კი ჩაიძირა. ინგლისის ხომალდები უზარალოდ დაბრუნდნენ თავიანთ ბაზებში.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 16 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, გუშინ საღამოს ინგლისელთა 200-მდე ავიაგამანადგურებელმა ზარბაზნისა და ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხა მიწაზე არსებულ მრავალ ობიექტს ჩრდილოეთ საფრანგეთში 200 მილ სიგრძის ფრონტზე, მათ შორის საარტილერიო პოზიციებს და გერმანელთა ჯარებს დიეპსა და ეტაპლს შორის მდებარე რაიონში; მათ იერიში მიიტანეს აგრეთვე შერბურისა და ბულონის რაიონებზე.

გერმანიის წყალქვეშა ნავების მშენებლობის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრის—ვილჰელმსჰაფენის ფოტოსურათები, რომლებიც მზვერავმა თვითმფრინავებმა გადაიღეს, ცხადჰყოფენ, რომ 9 ივლისის ღამის დაბომბვამ მნიშვნელოვანი ნგრევა გამოიწვია. საჯავშნე ფილების საამქრო, რომელიც წყალქვეშა ნავების მშენებლობას ეწევა, დანგრეულია. 5 სხვა ნაგებობა დაიწვა. ძალიან დაზიანდა 6 თუ 7 დიდი გემი.

საფრანგეთში დემონსტრაციები გაიმართა ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად

ნიუ-იორკი, 15 ივლისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, 14 ივლისს, ბასტილიის აღების დღეს, საფრანგეთის არაოკუპირებულ ზონაში დემონსტრაციები გაიმართა ვიშში, ლიონში, ნიცაში, კლერმონ-ფერანში, ტულუზში, მარსელში, გრენობლსა და ლიმოჟში. ზოგ ადგილას მეხანძრენი ბრანდსპოიტებით ასხამდნენ წყალს და ერეკებოდნენ დემონსტრანტებს, რომლებიც „მარსელიეზას" მღეროდნენ. პარიზში მრავალმა ფრანგმა ინახულა „უცნობი ჯარისკაცების" საფლავი.

მასობრივი ტერორი ჩეხოსლოვაკიაში

ჟენევა, 16 ივლისი (საკდესი). ჰიტლერელთა ტერორმა ჩეხოსლოვაკიაში ჩეხი მოსახლეობის მასობრივი ჟლეტის ხასიათი მიიღო. ერთი თვის განმავლობაში 10.000-ზე მეტი კაცი დახვრიტეს. გესტაპოელები მასობრივად აპატიმრებენ ხალხს პრაღასა და ჩეხიის სხვა ქალაქებში. ისინი ზედიზედ სჩხრეკენ სახლებს და ადგილზევე ხვრეტენ არა მარტო იმათ, ვისაც იარაღს უპოვნიან, არამედ იმ პირთაც, რომელთაც ერთი დღე-ღამის ნორმის სანოვაგე აღმოაჩნდებათ.

გემთმშენებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ლონდონი, 16 ივლისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების გემთმშენებლობის სარეკორდო პროგრამა გეგმის თანახმად სრულდება. ივნისში წყალში ჩაშვებულია 66 ახალი სატვირთო გემი და ტანკერი 731.900 ტონა წყალწყვისა.

მთავრობის საზღვაო კომისიის თავმჯდომარე ადმირალ ვიკერის განცხადებით, მარტო ის გემთსაშენებს, რომლებიც აგებულ იქნა გასული წლის დასაწყისში, და იმ გემთსაშენებს, რომელთა მშენებლობაც წელს დამთავრდება, შეუძლიათ უზრუნველჰყონ 1943 წელს სულ ცოტა 25 მილიონი ტონა წყალწყვის გემების მშენებლობა.

ზოგიერთი გემთსაშენი სარეკორდო ვადაში—45 დღეში აგებს გემებს.

იაპონიის ფლოტის ზარალი კუნძულ მიდუეისთან

ლონდონი, 16 ივლისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობები იაპონიისა და ამერიკის საზღვაო საჰაერო ძალთა იმ საზღვაო ბრძოლის შედეგების შესახებ, რომელიც ივნისის დასაწყისში მოხდა კუნძულ მიდუეის რაიონში. ამ ცნობების მიხედვით, ამერიკელებმა ჩასძირეს იაპონელთა 4 ავიანოსანი და 2 მძიმე კრეისერი, სერიოზულად დააზიანეს 3 საზო გემი, 3 მძიმე და 1 მსუბუქი კრეისერი და 3 ტრანსპორტი; ბრძოლებში მოსპობილია იაპონელთა 275 თვითმფრინავი. პირადი შემადგენლობის დანაკლისი 4.800 კაცს შეადგენს.

ამერიკელებს ჩაუძირეს მარტო 1 საესკადრო ნაღმოსანი და დაუზიანეს ავიანოსანი „იორკტაუნი". ამერიკელებმა 37 კაცი დაჰკარგეს.

ჰიტლერელები ძალდატანებით აგერმანელებენ პოლონეთს

სტოკჰოლმი, 15 ივლისი (საკდესი). ჰიტლერის ნაცვალმა დანციგში ფორსტერმა განაცხადა: „ყოველმა გერმანელმა, უწინარეს ყოვლისა, თვალყური უნდა ადევნოს იმას, რომ მოსახლეობამ პოლონურად არ ილაპარაკოს". პოლონურ ენაზე ლაპარაკი აკრძალულია სექტემბრიდან. „ვინც გერმანულად ლაპარაკი არ ისწავლა,—უტიფრად განაცხადა ფორსტერმა,—მას ადგილი არა აქვს ამ მხარეში. ომის შემდეგ გერმანიიდან აქეთკენ დაიძრებიან გლეხები და მოხელეები, უნდა ვიზრუნოთ, რომ ეს რაიონი არაფრით არ განსხვავდებოდეს გერმანიის სხვა რაიონებისაგან".

ახალგაზრდა ჰიტლერელთა დიდი ჯგუფები ესახლებიან პოლონეთის სოფლებში, სადაც ისინი ეპატრონებიან პოლონელებისაგან ჩამორთმეულ სავლეხო ეზო-გარემოს. გამოცხადებულია, რომ ლიუბლინის რაიონში „180 სოფელი გერმანული ხდება". საგენერალგუბერნატოროში შექმნილია 118 ბანაკი, რომლებშიც ჰიტლერელები საწარმოებსა და სოფლის მეურნეობაში პოლონელ მუშებისათვის ზედამხედველთა კადრებს ამზადებენ. პოლონეთის ამ ძალდატანებითი გაგერმანელების პასუხად ამ უკანასკნელ ხანს ჰიტლერელთა მიერ ოკუპირებულ პოლონეთში გახშირდა გერმანელ პოლიციელთა, მოხელეთა, ჯარისკაცთა და ოფიცერთა მოკვლის შემთხვევები. ჰიტლერელ მოიერიშეთა და პოლონელ პარტიზანთა რაზმს შორის მომხდარი შეტაკების დროს, კერძოდ, მოჰკლეს გერმანიის პოლიციის უფროსი ლიუბლინის ოლქში ერიხ ჰუდარი.

მუშახელი ძალით მიჰყავთ ჰიტლერულ კატორღაში

ნიუ-იორკი, 12 ივლისი (საკდესი). მოკავშირეთაშორისო საინფორმაციო ცენტრი აღნიშნავს, რომ ამჟამად გერმანია მუშახელის მწვავე ნაკლებობას განიცდის წარმოების ყველა დარგში. 1942 წლის დამდეგიდან გერმანიის სამხედრო მრეწველობას დამატებით სჭირდებოდა თითქმის ორი მილიონი მუშა. სოფლის მეურნეობაში საგაზაფხულო თესვის დროს აკლდათ 600 ათასი სასოფლო-სამეურნეო მუშა. გერმანიის ოფიციალური ცნობის მიხედვით, საიმპორტო სასუქის ნაკლებობის გამო გერმანიის სოფლის მეურნეობას ამჟამად ესაჭიროება 40 პროცენტით მეტი მუშახელი, ვიდრე 1939 წელს. მრეწველობას, რომელიც აწარმოებს სპილენძის, ნიკელის, თუთიის, ვოლფრამის, საპოხი ზეთეულის, ბოჭკოს და ხელოვნური აბრეშუმის შემცვლელთ, დამატებით ესაჭიროება 5 მილიონი მუშა. ჰიტლერელები შეუპოვარ წინააღმდეგობას აწყდებიან და ძალით აგროვებენ მუშებს ოკუპირებულ ქვეყნებში. გესტაპო ძალადობის ყოველგვარ მეთოდს მიმართავს, ადამიანების მოტაცებასაც. მაგალითად, 15 ივნისს ვარშავაში გერმანიის აგენტებმა მასობრივი ჩხრეკა მოაწყეს ქუჩებში და შეიპყრეს ათასობით ადამიანი, რომელნიც დაუყოვნებლივ გაგზავნეს გერმანიაში. ქალაქ კიევის დიდძალი მოსახლეობა 14-55 წლის ასაკისა აგრეთვე ძალით გაიგზავნა გერმანიის შრომის ბანაკებში. გერმანელებმა დახურეს საფრანგეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის საწარმოები და ამ საწარმოთა ადმინისტრაცია აიძულეს გერმანიაში გაეგზავნა მთელი მუშახელი.

პოლონეთში უმუშევართ სასურსათო ბარათებს არ აძლევენ, ამის გამო ისინი იძულებული არიან გერმანიაში ეძებონ სამუშაო. იტალიაში გამოცხადდა იძულებითი შრომითი მობილიზაცია, ვინაიდან იტალიელი მუშები გერმანიაში ნებაყოფლობით წასვლაზე უარს ამბობენ.

საზღვარგარეთ

ირანსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის იმ მთავრობას შორის, რომელიც ლონდონში იმყოფება, აღდგენილია დიპლომატიური ურთიერთობა. ჩეხოსლოვაკიის რწმუნებულად ირანში დანიშნულია ბახტაკი.

• • •

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან მოსალაპარაკებლად ა. შ. შტატებში ამ მოკლე ხანში გაემგზავრება გენერალ დე-გოლის სპეციალური სამხედრო მისია.

• • •

კოლუმბიაში სავალდებულო სამხედრო სამსახური შემოიღეს 21-50 წლის ასაკის პირთათვის.

• • •

ისლანდიაში სწარმოებს მოლაპარაკება ინგლისისათვის დაახლოებით 45 მილიონი დოლარის თევზის მიყიდვის შესახებ. ა. შ. შტატები ამ გარიგებას დააფინანსებენ საპურელის სესხად ან იჯარით გადაცემის პროგრამის ფონდებიდან.

1 ივლისს ალტენესენის ერთ-ერთ შახტში ყველაზე დიდი კატასტროფა მოხდა ამ უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში. მრავალი გერმანელი და იტალიელი მუშა დაიღუპა.

• • •

საფრანგეთში მნიშვნელოვნად გახშირდა პურეულისათვის ცეცხლის წაკიდება გლეხების მიერ, რომლებსაც არა სურთ, რომ მათი მოსავალი ხელში ჩაუვარდეთ გერმანელებს. ამის გამო ლავალმა დეკრეტი გამოსცა, რომელიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს მოსავლისათვის ცეცხლის წაკიდების გამო.

• • •

ბელგიელმა პატრიოტებმა მთელ რიგ ადგილას დასწვეს დიდი სადურგლო სახელოსნოები, რომლებიც გერმანელთა შეკვეთებს ასრულებდნენ, ჩალის მრავალი საწყობი და გერმანელთა მთელი რიგი საქონლის საწყობები. (საკდესი).

სამამულო ომისადმი მიძღვნილი სურათების გამოფენაზე ექსპონირებულია სტალინური პრემიის ლაურეატის უ. ჯაფარიძის სურათი „დაჭრილის მოწოდება". მხურვალე ბრძოლის ფონზე, სურათის ცენტრში დგას დაჭრილი მებრძოლი, რომელიც მედდას ეყრდნობა. მისი თვალები ელვარებენ. იგი მოუწოდებს ამხანაგებს შურისძიებისაკენ, ვერაგი მტრის განადგურებისაკენ. ეს სურათი საერთო ყურადღებას იპყრობს თავისი ემოციური ზემოქმედებით სიძლიერით.

სურათზე: უ. ჯაფარიძის „დაჭრილის მოწოდების" რეპროდუქცია.

პიონერ-მოსწავლეთა საჩუქრები

საქართველოს რესპუბლიკის პიონერები და მოსწავლეები მრავალ საჩუქრებს აგროვებენ ევაკუირებული ბავშვებისათვის და წითელი არმიის მიერ განთავისუფლებული ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობისათვის.

ამ რამდენიმე დღის წინათ, გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ უკრაინის ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობისა და ბავშვებისათვის საქართველოს პიონერებმა და მოსწავლეებმა გაგზავნეს ორი ვაგონი ტანსაცმელი, საოჯახო ნივთები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ნივთების შესაგროვებლად განსაკუთრებული ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ქ. თბილისის ბერიას, კიროვისა და ორჯონიკიძის რაიონებმა, ლანჩხუთის, გურჯაანის, გალის, ოჩამჩირის, ქუთაისის რაიონებმა.

კერძოდ, ლანჩხუთის რაიონის პიონერებმა და მოსწავლეებმა შეაგროვეს 150 წყვილი ფეხსაცმელი, 1.428 მაიკა, 530 წყვილი ჩულქი, წინდა და სხვა ნივთები, გურჯაანის რაიონმა—133 წყვილი თბილი წინდა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ევაკუირებულ ბავშვთა და განთავისუფლებულ ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის დამხმარე რესპუბლიკურმა კომისიამ განიხილა საქართველოს რესპუბლიკაში დღემდე ჩატარებული მუშაობა და დაავალა რაიონულ კომისიებს განაგრძონ მუშაობა ნივთების შესაგროვებლად.

პიონერთა ბანაკები

წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში გაიხსნება პიონერთა 20 ბანაკი, მათ შორის 4 რესპუბლიკური და დანარჩენი რაიონული მნიშვნელობისა. გარდა ბანაკებისა, ბავშვთა დასასვენებლად ადგილებზე ეწყობა მოედნები. ბანაკებსა და მოედნებზე დაისვენებენ ბავშვები 8-დან 12 წლამდე.

ზოგიერთი ბანაკი, მათ შორის რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური ბანაკი ბორჯომში, აბრეშუმის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური ბანაკი ქვიშხეთში, რესპუბლიკური ბანაკი უძოში და ახალციხის, ქუთაისისა და თბილისის რაიონების ბანაკები უკვე შეუდგნენ მუშაობას.

ბანაკებში და მოედნებზე წელს 6 ათასი ბავშვი დაისვენებს.

სტალინირის თეატრში სეზონი დამთავრდა

სტალინირი, (საქდესი). სტალინირის თეატრში სეზონი დამთავრდა დრამატურგის მ. შავლოხოვის პიესით „ნარტი ბატრაძ".

სეზონის განმავლობაში თეატრის ოსურმა სექტორმა განახორციელა ისეთი პიესების დადგმა როგორიცაა მოლიერის „სკაპენის ოინები", გაიდარის „თემური და მისი რაზმი", ბრიტაევის „ხაზბი", ბერძენიშვილის „ზინგი" და 5 ერთმოქმედებიანი პიესა.

ოსურ დასთან ერთად მუშაობდა ქართულიც, რომელსაც ხელმძღვანელობდა რეჟისორი ვ. მურღულია. დასმა დასდგა ქართულ ენაზე ვ. გუნიას „და-ძმა", გედევანიშვილის „მსხვერპლი", მთელი რიგი ერთმოქმედებიანი პიესები—„მილიონი მარკა", „არიელის კუჰი" და სხვ.

ლექცია

17 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის სალექციო დარბაზში შესდგება პროფ. ათაბეგოვის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „ჰიტლერული გერმანია საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლავრი კოალიციის მარწუხში".

ბილეთების შეძენა შეიძლება საქალაქო აგიტპუნქტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

თეატრებსა და დასასვენებელ პარკებში

მუსიკალური კომედიის — 17 ივლისს — „როზ-მარი", 18 ივლისს — „საქორწინო მოგზაურობა", 19 ივლისს დღისით — „საქორწინო მოგზაურობა". **სანკულტურის** — 18 ივლისს — „პირისპირ", 19 ივლისს — „სტუმარ-მასპინძლობა". **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — ყოველდღე სასულე ორკესტრი, ჯაზი, ევროპული ცეკვები, საპარკო ატრაქციონი, კინო ახალი პროგრამით, საბავშვო რკინიგზა, კარუსელი და სხვ.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ბერიას რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1501429, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის მიერ იონა მარკოზის-ძე დემურიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. და **ოქტომბერი** — „მეზღვაურის ქალიშვილი", **დამკვრელი** (საზაფხულო) — „გამანადგურებლები", **დამკვრელი** (ზამთრის) — „ქალიშვილს პაემანზე მიეჩქარება", **კომკავშირელი** (საზაფხულო) — „დათვი" და „ნიღაბი", **კომკავშირელი** (ზამთრის) „უკანასკნელი ბანაკი", **ლუქსემბურგის სახ.** — „უშიშარი პატარძალი", **სპარტაკი** — „ექიმი კალიუჟნი", **26 კომ. სახ.** (საზაფხულო) — „არსენა", **26 კომ. სახ.** (ზამთრის) — „საჰაერო ფოსტა", **კომინტერნი** — „საბრძოლო კინოკრებული № 9".

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**

შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტში მიღების პირობები

1942-43 სასწავლო წელს მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებზე:

ა) ენისა და ლიტერატურის (ქართულ და რუსულ სექტორებზე), ბ) ისტორიის, გ) ფიზიკა-მათემატიკის, დ) საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის.

სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი. ინსტიტუტში ჩარიცხვა იწარმოებს სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ, უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიერ 1942 წელს დამტკიცებული წესების მიხედვით.

განცხადებების მიღება სწარმოებს 31 ივლისამდე. შემომსვლელნი ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემოაქვს განცხადება ფაკულტეტის ჩვენებით, შემდეგი საბუთების თანდართვით: ა) ავტობიოგრაფია, ბ) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრებისა (დედანი), გ) პასპორტი (უნდა წარმოადგინოს პირადად გამოცხადებისას), დ) სამი ფოტოსურათი, ე) ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედრო ვალდებულთათვის).

შორეული ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსული სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

ყოველგვარი ცნობებისა და კონსულტაციების მიღება შესვლის შესახებ შეიძლება ინსტიტუტში ყოველდღე 9-დან 4 საათამდე.

მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. № 35, ტელ. № 9—37.

ინსტიტუტის დირექტორი **მ. სტამბოლიშვილი**

თბილისის სამკურნალო კომბინატის თანამშრომლები იუწყებიან პროფესორ ბ. კ. ლოლობერიძის ძმის
ლეონიდე კონსტანტინეს-ძე ლოლობერიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება ქალაქის მეორე საავადმყოფოს პროზექტურიდან (კამოს ქ. № 103) 17/VII, 6½ ს. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 893

თბილისის ეკონომ-სტატისტიკური ტექნიკუმის პედპერსონალი და თანამშრომელთა კოლექტივი იუწყებიან მასწავლებელ ოლღა მგელაძის დის
ლიუდმილა დუმბაძე-გრიგორაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 18/VII, 8 ს. ლენინის ქ. № 26, გამოსვენება 19/VII, 6 ს. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე. 895

თბილისის კიროვის რაისაბჭოს აღმასკომის თანამშრომლები და ადგილკომი იუწყებიან, რომ 19/VII, 6½ ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ქეთევან გეგიას შვილის
ნუგზარ ნიკოლოზის-ძე ხინველის
სამოქალაქო პანაშვიდი. 888

საქართველოს ფინსახკომის მუშაკთა კოლექტივი იუწყება
მარიამ ივანეს-ასულ ჩილაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 17 და 18/VII, 8 ს. თეატრის შესახვევი № 10, გამოსვენება 19/VII, 10 ს. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე. 897

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტების დირექცია, პროფორგანიზაცია და თანამშრომლები იუწყებიან დოცენტ
ლევან ვახტანგის-ძე მუსხელიშვილის
გარდაცვალებას. 898

საქ. მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორი იუწყება მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების გამგის
ლევან ვახტანგის-ძე მუსხელიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 19/VII, 6 ს. ყორღანოვის ქ. № 6. 892

„საქნავთის" ტრესტის შირაქის ნავთსარეწაო სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან
მელიტონ გრიგოლის-ძე ქურდაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 17/VII, 6 ს. ქორესის ქ. № 26. 894

№ ჰოსპიტლის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 19/VII, 7. ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ფოთიაქის გამგის ვ. ჩხიკვაძის მეუღლის
თინა ჩიჩუა-ჩხიკვაძის
სამოქ. პანაშვიდი. 887

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საქარხნო კომიტეტი იუწყება, რომ 19/VII, 6 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ექიმ
ელენე ილიას-ასულ ჯიჩაშვილის
სამოქ. პანაშვიდი. 879

№ ჰოსპიტლის თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება ექიმ
მარიამ დავითის-ასულ ანანიაშვილის
გარდაცვალებას.

თბილისის მეორე სამშობიარო სახლის კოლექტივი იუწყება პროფესორ ბ. ლოლობერიძის ძმის
ლეონიდე კონსტანტინეს-ძე ლოლობერიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 17/VII, 6½ ს. ქალაქის მეორე საავადმყოფოდან. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 891

ს. მ. კიროვის სახელობის საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი იუწყება, რომ 19/VII ქ. ხაშურში ჰოლის სასაფლაოზე დანიშნულია დიპლომანტის
გალაქტიონ (გალა) ზაქარიას-ძე ტაბანაშვილის
სამოქ. პანაშვიდი. 880

პასუხი შეკითხვაზე

რას ნიშნავს სუნ იატ-სენის სამი პრინციპი?

პასუხი ამხ. ა. ლეჟავას

ჩინეთში კაპიტალისტური ურთიერთობის ზრდასთან ერთად იხსნებოდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმი. ჩინეთის მოწინავე ადამიანებს ესმოდათ, რომ არსებულ პოლიტიკურ წყობილებას, რომელსაც სათავეში ედგნენ მეჭრთამე უმაღლესი მოხელეობა და მანჯურთა დინასტიის გონებაჩლუნგი პრინცები, არ ძალუძდა ეხსნა ქვეყანა უცხო სახელმწიფოთა მიერ დამონებისაგან. წარსული საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩინეთში ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგი სუნ იატ-სენი გახდა.

ჯერ კიდევ 1895 წელს ჩინელ ბურჟუაზიულ ემიგრანტთა შორის ჰავაის კუნძულებზე სუნ იატ-სენმა შექმნა პირველი რევოლუციური ორგანიზაცია — „ჩინეთის აღორძინების კავშირი" (სინ-ჯუნ-ხოი). სუნ იატ-სენის მიერ მოწყობილი პირველი რევოლუციური აჯანყება მარცხით დამთავრდა და სუნ იატ-სენი ემიგრაციაში წავიდა. 1905 წელს მთელი რიგი რევოლუციური ორგანიზაციები გაერთიანდნენ საერთო-ჩინეთის რევოლუციურ კავშირად „ტუნმინხოის" სახელწოდებით, რაც ნიშნავს საზოგადოებათა გაერთიანებულ კავშირს. მას სათავეში ჩაუდგა სუნ იატ-სენი, რომელმაც 1907 წ. 16 იანვარს მრავალათასიან მიტინგზე ტოკიოში წარმოსთქვა საპროგრამო სიტყვა, სადაც პირველად ჩამოაყალიბა თავისი ცნობილი „სამი სახალხო პრინციპი („სან-მინ-ჯუი"): ნაციონალიზმი, დემოკრატიზმი ანუ ხალხის ძალა-უფლება და ხალხის კეთილდღეობა. „სუნ იატ-სენის პლატფორმის ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია მებრძოლი, გულწრფელი დემოკრატიზმით" — სწერდა ლენინი.

პირველი პრინციპი მოუწოდებდა ხალხის გაერთიანებისაკენ, საკუთარი თავის როგორც ერის შეცნობისაკენ, ნაციონალური ერთიანი სახელმწიფოს შექმნისაკენ, უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

მეორე პრინციპი ნიშნავდა დემოკრატიული რესპუბლიკური წყობილების შექმნას.

მესამე პრინციპი ლაპარაკობდა სოციალიზმზე, მაგრამ არა როგორც წარმოების განსაზღვრულ საშუალებაზე, რომლის მატარებელიც მუშათა კლასია, არამედ უტოპიური, წვრილბურჟუაზიული გაგებით. სუნ იატ-სენი გულუბრყვილოდ ოცნებობდა, რომ ჩინეთს შეეძლო თავიდან აეცილებინა კაპიტალიზმი, ვინაიდან, მისი აზრით, ჩინეთში, როგორც ჩამორჩენილ ქვეყანაში, უფრო ადვილია სოციალისტური რევოლუციის მოხდენა. რა თქმა უნდა, ამ მოძღვრებას საერთო არა ჰქონდა რა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებასთან.

სუნ იატ-სენის „სოციალისტურ" პრინციპს ლენინი რუსულ ნაროდნიკობასადარებდა. სესხულობდნენ რა მოწინავე იდეებს დასავლეთიდან, სადაც დღის წესრიგში იდგა ბურჟუაზიისაგან განთავისუფლების საკითხი, ე. ი. სოციალიზმი, სუნ იატ-სენი და მისი მიმდევრები სუბიექტურად თანაუგრძნობდნენ სოციალიზმს და ოცნებობდნენ ეს იდეები ჩინეთის ნიადაგზე გადაეტანათ. ჩინეთი კი ფეოდალიზმის მსხვრევის ამოცანის წინაშე იდგა. მაგრამ ამ ამოცანაში, ჩინეთში შექმნილი პირობების დროს, სუნ იატ-სენის სუბიექტურ-სოციალისტური თეორიები პროგრესიულ როლს თამაშობდნენ. სუნ იატ-სენის ეკონომიური პროგრამის თანმიმდევრობით განხორციელება გზას გაუწმენდდა კაპიტალისტურ განვითარებას.

სუნ იატ-სენის მოძღვრების დახასიათებისას დიდი ლენინი სწერდა: „... ჩინელი დემოკრატის სუბიექტურ-სოციალისტური აზრებიდან და პროგრამებიდან სინამდვილეში გამოდის პროგრამა მხოლოდდამხოლოდ „უძრავი საკუთრების" „ყველა სისხლიანი საფუძვლის შეცვლისა", პროგრამა მხოლოდდამხოლოდ ფეოდალური ექსპლოატაციის მოსპობისა.

ამაშია არსი სუნ იატ-სენის ხალხოსნობისა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ აგრარულ გარდაქმნათა მისი პროგრესიული, საბრძოლო, რევოლუციური პროგრამისა და მისი ვითომდა სოციალისტური თეორიისა" (ტ. XVI, გვ. 29).

ამხილებდა რა სუნ იატ-სენის უტოპიზმს, ლენინი მიესალმებოდა მისი მოძღვრების დემოკრატიულ დედაარსს. ლენინი სუნ იატ-სენს უწოდებდა კეთილშობილებითა და გმირობით აღსავსე რევოლუციურ დემოკრატს, დემოკრატიული რესპუბლიკისათვის მებრძოლს. ჩინელი ხალხი სუნ იატ-სენის ამ პრინციპებით გამოდიოდა 1911 წლის რევოლუციაში, გამოდის ამჟამადაც, იცავს რა თავის დამოუკიდებლობას. ამ მიზეზით და ტაქტიკურ მოსაზრებათა გამო ჩინეთის კომპარტიამ სცნო, რომ ჩინეთში შექმნილი პირობების დროს საქსებით მისაღებია სუნ იატ-სენის სამი პრინციპი იაპონელ დამპყრობლებთან საბრძოლველად საერთო-ნაციონალური ფრონტის შექმნის, ჩინეთის დემოკრატიზაციისა და ჩინელი ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

დ. ზავრიევი

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 5978